საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭ-დვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძო-ლის გაწევა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 21 ივნისი. 2017 წ. №123 (8260), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გონს მოდით, გაბრიყვებულნო!

პუტინის ნათქვამს ჭეშმარიტებად ნუ მიიჩნევთ!

3

საქართველო საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგებში

4

ჩვენ გვატყუებენ თუ თავს ვიტყუებთ?!



8

ბადრი პატარკაციშვილმა სკოტლანდ-იარდს წინასწარ აცნობა, რომ მისი მკვლელობა იგეგმებოდა!

დილმის ქალები და აბანოთუბანი

11

მტკვარი სარეკრეაციო ფუნქციას დაიბრუნებს

გასაიდუმლოებული არქივები

8

კრემლის წმიდათაწმიდა ინკვიზიცია

როგორ შექმნეს „იდეოლოგიური კონტრდაზვერვა“ – სუკ-ის მეხუთე სამმართველო

⊙ უცილობლობს ვითა ჯორი!

პრეზიდენტმა პარლამენტს რიგგარეშე სესიის დანიშვნაზე უარი უთხრა!

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტს რიგგარეშე სესიის მოწვევაზე უარი უთხრა, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მის უარს პოლიტიკური შინაარსი აქვს იმის გამო, რომ არ მიიღოს პარლამენტმა დაჩქარებული გადაწყვეტილება საკონსტიტუციო ცვლილებებთან მიმართებაში.

„შემოსულია თხოვნა, დაინიშნოს საგანგებო სესია, მე ამ თხოვნას უარით ვპასუხობ. ეს რეალურად ვერ შეცვლის ვერაფერს, მოქმედი კონსტიტუციით პრეზიდენტის უარის მიუხედავად, სესიის დანიშვნა არის შესაძლებელი, მაგრამ ჩვენს უარს აქვს პოლიტიკური შინაარსი, მოვუწოდებ პარლამენტს, არ მიიღოს უაღრესად დაჩქარებული წესით შეუთანხმებელი ცვლილებები დაუბრუნდეს ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებულ შენიშვნებს. შევქმნათ ერთიანი თანხმობის დოკუმენტი“, — განაცხადა მარგველაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე.

ფუნდამენტური ცვლილება მარტო პრეზიდენტის ინსტიტუტის შეკვეცის თვალსაზრისით მივიღეთ!

„საზოგადოებამ მოისმინა საკონსტიტუციო პროცესისათვის და რეფორმისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიიღო საპარლამენტო უმრავლესობამ. ეს არის უარის თქმა პროპორციულ სისტემაზე გადასვლის საკითხზე. რეალურად, ეს ცვლილება თვისებრივად ცვლის იმ შემოთავაზებულ პროექტს კონსტიტუციის რეფორმისა, რომელიც განხილულ იქნა ქართველი საზოგადოების მიერ და რომელიც განიხილა ვენეციის კომისიამ. ამ ვითარებაში ის, რაც დარჩა სახელიდან „ფუნდამენტური ცვლილებები კონსტიტუციისა“ და მოლოდინიდან, რომ ქართველი საზოგადოება მიიღებდა კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს კონსტიტუციის დახვეწის თვალსაზრისით, ჩვენ მივიღეთ ფუნდამენტური ცვლილება მარტო პრეზიდენტის ინსტიტუტის შეკვეცის თვალსაზრისით. ეს ეხება პრეზიდენტის არჩევის წესს, ეხება უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციებს და უფლებებს. ეს ეხება კონსტიტუციიდან უშიშროების საბჭოს გაქრობას, ანუ, რის თაობაზეც ჩვენ თავიდანვე ვსაუბრობდით მაშინ, როდესაც იქმნებოდა საკონსტიტუციო კომისია, იმ სულისკვეთებაზე, რომელზეც მოგახსენებდით, რომ მიმართულია რეალურად პრეზიდენტის წინააღმდეგ“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

პარლამენტს 48 საათის განმავლობაში უფლება აქვს, რიგგარეშე სხდომისთვის თავად შეიკრიბოს

იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი რიგგარეშე სხდომების მოწვევის თაობაზე შესაბამის აქტს არ გამოსცემს, პარლამენტს უფლება აქვს, თავად შეიკრიბოს, — ამის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა განაცხადა. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების განსახილველად პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე უარი თქვა.

თეა წულუკიანი: 5-პროცენტიანი ბარიერის დაწევა პოლიტიკურ დაქსასულობას გამოიწვევს

ჩვენი მთავარი გზავნილი არის ის, **რომ უნდა დავეყრდნოთ ვენეციის კომისიის დასკვნებს და გავიზიაროთ შენიშვნები** — აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, მზად ვართ, რომ მოვისმინოთ ერთმანეთის კრიტიკა, მათ შორის ოპონენტების. იქნება ეს არასამთავრობო სექტორი თუ ოპოზიცია. მოვისმინოთ კრიტიკა პრეზიდენტისგან, მაგრამ ჩვენი მთავარი გზავნილი არის ის, რომ უნდა დავეყრდნოთ ვენეციის კომისიის დასკვნებს და გავიზიაროთ ის შენიშვნები, რომლებსაც მივიჩნევთ, რომ ქვეყნის უკეთესი დემოკრატიული მომავლისთვის არის მისაღები შენიშვნები. ის, რომ მაგალითად 5%-იანი დაიწევს, როგორც ჩანს მმართველი გუნდი ამის მისაღებად მზად არის. მე პირადად მიმაჩნია, რომ ეს გამოიწვევს პარლამენტში პოლიტიკურ დაქსასულობას, მაგრამ ასეთია დემოკრატიული პროცესი“ — განაცხადა თეა წულუკიანმა.

შს მინისტრი ოპოზიციის კითხვებს უპასუხებს

უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილის საკანონმდებლო ორგანოში მისვლას არ გამორიცხავს. თალაკვაძე ამბობს, რომ მღებრიშვილი ოპოზიციის კითხვებს თავს არ აარიდებს.

„ოპოზიცია წინასწარ იქმნის ნეგატიურ განწყობებს. მე ვურჩევდი, რომ ნუ შეიქმნიან ასეთ ნეგატიურ განწყობებს და ასევე შემიძლია გითხრათ, რომ ამ შეხვედრაზე მე პირადად დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ შს მინისტრი ნამდვილად არ აარიდებს თავს სხვა ფორმატებში შეხვედრას, საპარლამენტო ფორმატში შეხვედრას, მათ შორის ოპოზიციის, უმცირესობის წარმომადგენლებთან. ეს გადაწყვეტილება მისი მისაღებია, მე ვფიქრობ, რომ ის თავს არ აარიდებს ამ შეხვედრას,“ — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ უმრავლესობისა და შს მინისტრის შეხვედრის დასრულების შემდეგ.

კობა ნარჩემაშვილი: მუხთარლის საქმის დეტალების გასაჯაროება მიზანშეწონილი არ არის



შს მინისტრთან გუშინდელ შეხვედრის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი აფგან მუხთარლის საქმე იყო, — განუცხადა ჟურნალისტებს შეხვედრიდან გამოსულმა კობა ნარჩემაშვილმა. მისივე თქმით, გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, ამიტომ საგამოძიებო კომისიის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს.

„ბევრი კითხვა დაისვა, თუმცა შეხვედრა დახურული იყო და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი დეტალები გახმაურდეს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი აფგან მუხთარლის საქმე იყო. ჩემი პირადი პოზიციაა, რომ სანამ გამოძიება შუალედურ პროცესშია, არ არის საჭირო პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა. ამით საგამოძიებო ორგანოების დისკრედიტაცია ხდება“, — განაცხადა ნარჩემაშვილმა.

ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით ახალი პროექტები განიხილეს

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოადგილეს ნიკოლას ბერლინერს შეხვდა.

უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა პოზიტიურად შეაფასეს საქართველოს შს სამინისტროსა და აშშ-ის ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ად-

მინისტრაციას (DEA) შორის არსებული მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა და ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივაზე იმსჯელეს.

გიორგი მღებრიშვილი ნიკოლას ბერლინელს შს სამინისტროში ბოლო წლებში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე ესაუბრა. შს მინისტრმა ხაზი გაუსვა შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შექმნილი ნარკოტრანზიტების განყოფილების წარმატებულ მუშაობას, რის შედეგადაც ნარკოტრანზიტის რამდენიმე მნიშვნელოვანი მარშრუტი გამოვლინდა. ნიკოლას ბერლინელმა, რომელიც საქართველოში თავის სამწლიან მოღვაწეობას ასრულებს, გიორგი მღებრიშვილს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე განსაკუთრებულად აღინიშნა აშშ-ის საელჩოს მნიშვნელოვანი როლი საქართველოს შს სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებისა და დასავლური სტანდარტების დამკვიდრების პროცესში.

შეხვედრის დასასრულს, გიორგი მღებრიშვილმა აშშ-ის ელჩის მოადგილეს შს სამინისტროსთვის გაწეული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

დიმიტრი ხუნდაძე: საჯარიმო სანქციებმა მარიხუანის მომხმარებელთა შემცირებას უნდა შეუწყოს ხელი

„ყველაზე მნიშნელოვანია, მივიღოთ რეგულაციები, რომ არ დავაპატიმროთ მარიხუანის მომხმარებელი“, — ამის შესახებ ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა.

„ჩვენ გვქონდა აზრთა სხვადასხვაობა სესიაზე. ასევე, საპირისპირო აზრები გუნდშიც იყო. თუმცა, მივედით შეთანხმებამდე, რომ კულტივირების თემა იქნება ამოღებული კანონპროექტიდან და ავტორი ამას დათანხმდა. აგრეთვე საჯარიმო სანქციები იქნება შესაბამისი, რათა მივიღოთ რეგულაციები, რომ არ დავაპატიმროთ მარიხუანის მომხმარებელი. ეს ყველაზე მნიშნელოვანია. ასევე, საჯარიმო სანქციები უნდა იყოს ისეთი, რომ არათუ ხელი შეუწყოს ნარკომომხმარებელთა რიცხვის და კონკრეტულად, მარიხუანის მომხმარებელთა გავრცელებას, არამედ მის შემცირებას“, — აღნიშნა ხუნდაძემ.

ჯანდაცვის კომიტეტი გუშინ მარიხუანის მომხმარებელთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პაკეტზე მსჯელობს. პროექტი ნარკოპოლიტიკის ნაწილობრივ ლიბერალიზაციას ითვალისწინებს, რაც კანაფისა და მარიხუანის გარკვეული ოდენობით შეძენა-შენახვის, გადაზიდვისა თუ მოხმარებისთვის სასჯელის სახით პატიმრობას აუქმებს.

სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული ცვლილება გამორიცხავს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენებას გამომშრალი მარიხუანის შემთხვევაში 70 გრამამდე, ნედლი მარიხუანის შემთხვევაში — 140 გრამამდე და მცენარე კანაფის შემთხვევაში — 140 გრამამდე ნარკოტიკული საშუალების დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და პირადი მოხმარებისთვის. თუმცა, ამ ქმედებებისათვის თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული ნარკოტიკული საშუალებების ოდენობა დიდი ან განსაკუთრებით დიდია.

აფხაზეთის ე.წ. მთავრობის შენობაში სროლის ხმა ისმოდა

ინციდენტი ე.წ. **„აფხაზი ხალხის სამამულო ომის ინვალიდების ფონდის“ თავმჯდომარის კაბინეტთან მოხდა. ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ აფხაზურ მედიაზე დაყრდნობით ავრცელებს.**

გავრცელებული ცნობით, პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლა გუშინ დილის საათებში ე.წ. ფონდის თავმჯდომარის ბადრი აგრბას კაბინეტთან მოხდა.

აფეთქება სოხუმში

ოკუპირებულ **სოხუმში აფეთქება მოხდა. ადგილობრივი მედიის ცნობით, დაშავებულია ერთი ადამიანი. ის საავადმყოფოშია გადაყვანილი.** არსებული ინფორმაციით, კალმიკოვის ქუჩაზე ავტომობილი აფეთქდა. როგორც ადგილობრივები ყვებიან, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ხმა მთელ ქალაქში გაიგეს. აფეთქების შედეგად, დაზიანებულია მიმდებარე კორპუსები. ადგილზე ე.წ. გამომძიებლები მუშაობენ.

ეკა ბესელია მაუწყებლობის კანონპროექტთან დაკავშირებით NGO-ებს პასუხობს



იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია მაუწყებლობის კანონპროექტთან დაკავშირებით, NGO-ის მიმართვას პასუხობს და აცხადებს, რომ არც ერთ ამ ორგანიზაციას რაიმე მოსაზრება და წინადადება ჯერ არ წარუდგენია.

..მინდა გამოვეხმაურო განცხადებას, რომელიც გუშინ გავრცელდა ექვსი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით 2016 წლის 19 დეკემბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების მიერ საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი იქნა საკანონმდებლო წინადადება (№2377) „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა 2017 წლის 6 იანვარს კომიტეტის სხდომაზე განიხილა აღნიშნული წინადადება და პრინციპების დონეზე ცნო მიღებულად. იქიდან გამომდინარე, რომ წინადადების ავტორთა მიერ საკომიტეტო განხილვის დროს დასახელებულ იქნა პრაქტიკაში წამოჭრილი კიდევ სხვა ხარვეზები, რაც საჭიროებდა დამატებით ცვლილებებს, კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია, საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთა და სპეციალისტების ფართო ჩართულობით, სამუშაო ჯგუფის შექმნა.

სამუშაო ჯგუფი შეიქმნა 2017 წლის 16 იანვარს და განისაზღვრა მისი შემადგენლობა 24 წევრით.

განისაზღვრა საკითხები, რომელთა ირგვლივ დაიწყო მუშაობა და ვთხოვეთ ყველა მონაწილეს, მოეწოდებინა მოსაზრებები და წინადადებები.

დასახელებულ არც ერთ ორგანიზაციას დღემდე არ მოუწოდებია არც ერთი მოსაზრება, წინადადება ან საკითხი ჯგუფისთვის.

სამუშაო ჯგუფმა იმუშავა იმ საკითხებზე, რომელიც დაასახელა პრობლემურად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, სამეურვეო საბჭოს წევრებმა და მომზადებული პროექტი შეფასებისთვის გადაუგზავნა ევროპის მაუწყებელთა საბჭოს, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოხატა აღნიშნული ცვლილებების მიმართ და მისი განხორციელება სასარგებლოდ მიიჩნია (დოკუმენტს ხელს აწერს ევროპის მაუწყებელთა საბჭოს დირექტორი ინგრიდ დელტერნე).

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში 2017 წლის 17 ივნისს, საქართველოს პარლამენტის პირველი რესპუბლიკის დარბაზში გამართულ ღია სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც აქტიურად გაშუქდა მედიის მიერ, მოხდა პრინციპების დონეზე მომზადებული პროექტის განხილვა, კომიტეტი ასევე აქტიურად მუშაობდა ევროპის საბჭოს ოფისთან ამ საკითხებზე. გადაწყდა მომზადებული კანონის პროექტის ინიციირების საკითხი და მითითებულ საკითხებზე მუშაობის/მსჯელობის გაგრძელება საპარლამენტო ფორმატში (ღია საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე).

მომზადებული კანონის პროექტის საბოლოო რედაქცია, დამატებითი შენიშვნებისთვის/რეკომენდაციებისთვის გადაეგზავნა სამუშაო ჯგუფის ყველა წევრსა და დაინტერესებულ პირს. აღნიშნული პროექტი დამატებითი შეფასებისთვის ასევე გადაეგზავნა ევროპის საბჭოს ოფისს საქართველოში.

ამდენად საკითხზე მუშაობა არა დაჩქარებულად, არამედ მიმდინარეობს უკვე 6 თვეზე მეტია და სამწუხაროა, რომ ამ არც ერთ ამ ორგანიზაციას რაიმე მოსაზრება და წინადადება ჩვენთვის არ წარმოუდგენია. განცხადება, რომელიც გავრცელდა მათი მხრიდან იყო არაკორექტული, არასწორი, შეცდომაში შემყვანი და ეს მხოლოდ აზიანებს პროცესს.

კომიტეტი ყოველთვის ღიაა თანამშრომლობისთვის ყველა დაინტერესებულ პირთან“, — აცხადებს ეკა ბესელია.

ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲓ ᲜᲣ ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲔᲕᲗ!

ᲮᲐᲚᲮᲨᲘ **გავრცელდა ასეთი ხმა — პუტინს უთქვამს, სააკაშვილს რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებაში დასავლეთი აქეზებდა, სხვანაირად წამოუდგენელია ჩვენ წინააღმდეგ მას ომი გაებედაო.** რასაკვირველია, ეს მოსაზრება არასწორია. პირიქით — დასავლეთი გიჟ სააკაშვილს დღენიადაგ იმას ჩასჩიჩინებდა, რომ რუსეთთან ყოველგვარი პრობლემა მშვიდოებიანად მოეგვარებინა. სააკაშვილს კი მზაკვრული ჩანაფიქრი ჰქონდა — რუსეთი პროვოკაციის ანკესზე წამოეგო და ასეთ ვითარებაში დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ განეწყო. რასაკვირველია, ორი გიგანტი სახელმწიფოს დიპლომატები სააკაშვილის ბრიყვულ გეგმას მყისიერად ჩაწვდნენ და განაწყენებულმა ბუშმა ომის დაწყებაში სააკაშვილი დაადანაშაულა. სხვას არაფერს ნიშნავს რუსეთ-საქართველოს ომის ასეთი შეფასება: **ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲐᲠᲐᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲘᲧᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲡᲐᲯᲐ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲗ.**

შეიძლება ითქვას, რუსეთი შეგნებულად წამოეგო სააკაშვილის მიერ გადმოგდებულ პროვოკაციის ანკესზე, ვინაიდან კარგად იცოდა სააკაშვილის ამ პროვოკაციას მხარს არავინ დაუჭერდა და პროვოკატორსაც სათანადოდ დასჯიდა.

ნუთუ ქართველი ხალხი დღემდე ვერ აცნობიერებს ადვილად გასაცნობიერებელ მოვლენას? გონებასუსტი, თაღლითი სააკაშვილის ჭკუაზე სიარული სამარცხვინო და სასაცილოც კია.

ზოგს ჰგონია, თუ ომის დაწყებაში სააკაშვილს დავადანაშაულებთ, ეს იმას ნიშნავს, თითქოს საქართველოა დამნაშავე. ჯერ ერთი, ასე არ სჯის მსოფლიო საზოგადოებრიობა. დაადანაშაულეს გერმანელი ნაცისტები, მაგრამ გერმანელი ხალხი უდანაშაულოდ გამოცხადდა. მეორეც, რაც არ უნდა ვეცადოთ, მსოფლიოს სიმართლეს ვერ დავუმალავთ. გავამართლებთ სააკაშვილს და ჩავითვლებით ამ გახრწნილი არსების მიმდევრად. მეორეც ქართველი ხალხის უმრავლესობას სააკაშვილის და მისი თანამზრახველების პოლიტიკიდან განდევნა სურს. სამწუხაროდ, ამ უპირველესი ამოცანის შესრულებას დღემდე ვერ ახერხებს, ვინაიდან სააკისტებს დასავლეთი, რომ იტყვიან, კბილებით იცავს.

თუ ჩვენ სააკაშვილს და მის თანამოსაქმეებს დავადანაშაულებთ ომის დაწყებაში, ქართული ტერიტორიის ნაწილის დაკარგვაში, აგრეთვე ამ ომში ქართველი კაცის შერცხვენაში და ამ დანაშაულს შესატყვისი არგუმენტებით დავამტკიცებთ, დასავლეთიც ვერაფერს იტყვის, ხელს აიღებს ამ ნაძირლებზე და საქართველოში იმ პარტიასთან ითანამშრომლებს, რომელსაც ქართველი ხალხი აირჩევს.

ყოველთვის მაოცებს ის გარემოება, რომ საქართველოში მომხდარი მოვლენების გარკვევას დასავლელი ანალიტიკოსებისგან მოველით. ჩვენთან მომხდარი მოვლენების გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივ ანალიტიკოსს შეუძლია.

რუსეთ-საქართველოს ომის დაწყისში ერთ-ერთ პარტიულ გაზეთში გამოვაქვეყნე სტატია, რომლის შინაარსს შეგახსენებთ. თუმცა მრავალჯერ გამიმეორებია ერთი და იგივე მოსაზრება, მაგრამ მკითხველს ვთხოვ, ერთხელ კიდევ მომისმინოს და მაპატიოს ჩემი „მოსაბეზრებელი“ ქცევა.

2008 წლისთვის პროტესტის ტალღამ პიკს მიაღწია. ოპოზიციამ მთლიანად მოშალა საპარლამენტო მუშაობა, კარვების ტყე დასცა რუსთაველის პროსპექტზე და მთლიანად აკონტროლებდა დედაქალაქის ცენტრს. ასეთ ვითარებაში ნებისმიერ სახელმწიფოში მთავრობა გადადგებოდა, მაგრამ სააკაშვილის მთავრობას მხარში ედგა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები და აშშ. მათ არ სურდათ გამოზრდილი მარიონეტების ხელიდან გაშვება; მათ აღზრდას ხომ მილიონობით დოლარი დასჭირდა. მიუხედავად ამისა, სააკაშვილს ძლიერ აშინებდა შემოდგომით ოპოზიციის აღმავლობა და გამოსავალს ვერ პოულობდა. ბოლოს ასეთი რამ მოიფიქრა — რაც უნდა დასჯდომოდა, სამაჩაბლო დაებრუნებინა. ამით ხალხის გულს მოიგებდა და პოსტსაც შეინარჩუნებდა. დაბრუნება კი ომის მეშვეობით უნდა განეხორციელებინა. ომი ოსებთან კი ვიწყებ ომს ოსებთან, რასაკვირველია, რუსეთი მყისიერად დადგება მოკავშირის მხარეზე, მაგრამ დასავლეთი საქართველოს დაუჭერს მხარს.

ამგვარ ყოყმანში რომ იყო სააკაშვილი, რუსეთის მხრიდან გამოჩნდნენ სამხედროები, რომლებიც სააკაშვილს შთააგონებდნენ, რომ ქართველებს და ოსებს შორის კონფლიქტში, რუსები ნეიტრალიტეტს დაიჭერდნენ. ისმება კითხვა: რა განაპირობებდა ცალკეული რუსი სამხედროების ქმედებას? არიან გარკვეული გარეშე ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაცია. ჩემი ვარაუდით, ეს ძალები სამაჩაბლოში მყოფ რუს სამხედროებს სთხოვდნენ, რომ სააკაშვილი კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთის ნეიტრალობაში დაერწმუნებინათ. ბუნებრივია, ეს „თხოვნა“ ხსენებულ ძალებს სოლიდური თანხა დაუჯდებოდათ. აკი ომის დასაწყისში ხბოსავით აღტყინებულმა სააკაშვილმა ქვეყანას ამცნო „სასიხარულო ამბავი“: სამაჩაბლოს უმეტეს ნაწილს ქართველი სამხედროები აკონტროლებენ, მაგრამ კიდევ უფრო სასიხარულოა ის, რომ ამ კონფლიქტში რუსეთი ნეიტრალიტეტს იჭერსო.

რასაკვირველია, ცალკეული რუსი სამხედროების ქმედების შესახებ კრემლმა არაფერი იცოდა და ცხინვალის დაბომბვის გამო გაეროში სათანადო განცხადებების გაკეთების შემდეგ, რუსეთის 58-ე არმია ცხინვალისკენ დაიძრა. სამხედრო საქმის ზოგი უმეცარი ასე აცხადებს — ორ დღეში როგორ მოასწრო არმიამ მომზადება და სალაშქრო წესით ცხინვალისკენ სვლაო? საერთოდ, საზღვრისპირა არმიები ყოველთვის მზად არიან — ერთნი შეტევისთვის, მეორენი კი — თავდაცვისათვის. „ერთნში“ ვგულისხმობ ძლიერი სახელმწიფოს არმიას, ხოლო „მეორენში“ — სუსტისას. ვინაიდან 58-ე არმია განეკუთვნება ძლიერ სახელმწიფოს, იგი ყოველთვის მზად არის შეტევისთვის. რამაც განაპირობა ამ არმიის სწრაფი შემოჭრა სამაჩაბლოში. ცუდია, როცა უმარტივესი სამხედრო წესის ახსნა გვჭირდება.

ომის დასაწყისშივე მედვედევმა განაცხადა: ჩვენ ვათავისუფლებთ ცხინვალსა და მის შემოგარენს ქართული ჯარისაგან. რუსებს არც უფიქრიათ თბილისში შემოსვლა, ვინაიდან: დარწმუნებული იყვნენ ქართველი ხალხი ამ ომის შემდეგ ერთი დღითაც კი არ დატოვებდა ხელისუფლებაში სააკაშვილს და მის თანამზრახველებს. მეორე მხრივ, მათ არ უნდოდათ გაეფანტათ პოლიტიკური ქულები, რაც მოიპოვეს აშშ-ის ჯარების ერაყში შეჭრის შემდეგ. კრემლი სულ იმას გაიძახოდა — ამერიკელებმა გაუგონარი სიმხეცე ჩაიდინეს ერაყშიო. თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლა ხომ განმეორება იქნებოდა ერაყში ამერიკელების ქმედებისა.

მაგრამ მოხდა გაუგონარი სასწაული — ქართველმა ხალხმა ერის ეს დამაქცევარი არ გადააყენა და შედეგად ახალგორის რაიონიც დავკარგეთ და მივიღეთ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქართველი ხალხისთვის სირცხვილით თავის მოჭრას ნიშნავს ის, რომ სამხედრო საქმის სრულიად უმეცარი ბიჭი, სამხედრო „მინისტრი“ კეზერაშვილი, ომის მსვლელობისას ფულის საშოვნელად საზღვარგარეთ დაძრწოდა, სააკაშვილი გორის შემოგარენში მიწაზე ფორთხავდა, ხოლო ჯარს მობილური ტელეფონით „ხელმძღვანელობდა“ რიგითი უგულავა. ამბობენ, ომი დღე-ნახევარი გაგრძელდაო. არავითარი სერიოზული ბრძოლა არ გამართულა. უმეთაუროდ დარჩენილი ქართული ჯარი ტყე-ტყე გამორბოდა თავის გადასარჩენად.

ᲐᲘ, ᲐᲡᲔᲗ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲩᲐᲐᲧᲔᲜᲐ ᲝᲓᲔᲡᲦᲐᲪ ᲡᲘᲛᲐᲛᲐᲪᲘᲗ ᲒᲐᲜᲗᲫᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ — ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐᲛ, ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐᲛ, ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲛᲐ, ᲐᲜᲣ ᲛᲮᲔᲪᲔᲑᲛᲐ. ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲣᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲝᲓ ᲑᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲠᲐ — ᲛᲐᲗ ᲮᲝᲛ ᲒᲐᲐᲑᲠᲘᲧᲕᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓᲐᲪ ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲡᲐᲐᲙᲘᲡᲢᲔᲑᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ ᲛᲐᲚᲔ ᲐᲛᲝᲘᲫᲘᲠᲙᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲑᲠᲘᲧᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲣᲮᲔᲠᲮᲣᲚ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲓᲠᲝᲐ, ᲒᲝᲜᲬ ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲒᲐᲑᲠᲘᲧᲕᲔᲑᲣᲚᲜᲝ!

ᲕᲐᲟᲐ ᲟᲚᲔᲜᲢᲘ

◎ ᲐᲘ, ᲠᲐ „ᲛᲐᲒᲐᲠᲘ“ ᲕᲘᲪᲔ-ᲡᲞᲘᲙᲔᲠᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ!

ᲘᲠᲛᲐ ᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲐᲮᲚᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲐ ᲘᲛ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲕᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲔᲤᲔ ᲐᲨᲐᲧᲘᲠᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი სოციალურ ქსელში ასეთ „შემზარავ“ პოსტს აქვეყნებს:

„ჩვენი საზოგადოება ჭრელი და არაერთგვაროვანია. ნაწილი მოუთმენლად ელის ნეკროლოგს ცოცხალ ადამიანზე... ნაწილი ბაქიბუქობს და ვინმე... საქმის მკეთებელი კაცი თუ გამოჩნდა, ტონა ტალახს დაასხამს თავს... ნაწილი გეჩხუბება — რატომ სოხუმს და ცხინვალს არ მიბრუნებო და თვითონ შიშისგან ძაგძაგებს. არც გზა იცის დაბრუნების, არც ერთი ადგილი აქვს, მაგრამ შენ გეჩხუბება. ნაწილი მარადიულ პესიმიზმშია — რა აზრი აქვს? რა აზრი აქვს? თუ აზრი არა აქვს, რაღას იღვიძებ და იძინებ, დალოცვილო?! იწექი თავზესაბანგადახურული და დაელოდე ნეტარ აღსასრულს „პრუჟინიან კრაოტში“, სხვებს რაღას უქრობ სიცოცხლის ხალისს?! ნაწილი „ძალიან წინაა“. ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ სამშობლოს ნაცვლად, ტერიტორია შეგვრჩეს და ისიც — არა. მიწაც გავყიდოთ და პარკებიც, ძეგლებიც და მონუმენტებიც. ესაა მათი სულისკვეთება. ნაწილს პრეზიდენტი უნდა! ნაწილს — პარლამენტი, ნაწილს — პრემიერი, ნაწილს — არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. ახლა მეფე მოინდომა იმ ხალხმა, ვინც დავით აღმაშენებელიც აშაყირა და თამარ მეფეც. სხედან მთელი დღეა და იკვლევენ, ვის ვინ ჰყავდა ჯიშსა და ჯილაგში თავადი თუ აზნაური. შენ თუ ხმას ამოიღებ, ეს აღმაშენებლის მაშაყირებელი ფისოები ბასრი თითუნიებით დაგკაწრავენ. ვინ ვართ, რანი ვართ, რა გვინდა და საით მივექანებით, ეს კითხვები მარადიულ კითხვებად რჩება ჩვენთვის. სოციალურ ქსელში არ შენდება ქვეყანა. ქვეყანა ამ სივრცის მილმა უპატრონოდ გვრჩება, რადგან ყველა „ვაშენებთ“, „ვაერთიანებთ“, „ვიბრუნებთ“ და ა. შ. მხოლოდ „ფეისბუქში“, — წერს ირმა ინაშვილი.

ᲮᲛᲐᲣᲠᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘ 15 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲔᲑᲐ

ᲮᲛᲐᲣᲠᲗᲐᲜ **დაკავშირებული შეზღუდვები, შესაძლოა, ძალაში 15 აგვისტოდან შევიდეს. კანონპროექტის განხილვა დასკვნით ფაზაშია.**

ცვლილებების თანახმად, ხმაურის დასაშვები ნორმის გადამეტების შემთხვევაში, პირველ ჯერზე დაწესებულება, ორგანიზაცია თუ პირი სიტყვიერ გაფრთხილებას მიიღებს. თუ გაფრთხილებამიღებული ფიზიკური ან იურიდიული პირი 1 წლის განმავლობაში კანონს ისევ დაარღვევს, ფიზიკური პირი 150 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი კი 500 ლარით. კანონის მესამედ დარღვევის შემთხვევაში ჯარიმის რაოდენობა გაიზრდება. კონკრეტულად, ფიზიკური პირი 300 ლარით დაჯარიმდება, იურიდიული პირი კი 1000 ლარით.

კანონში ცვლილებების პროექტის თანახმად, დღისა და ღამის განმავლობაში დაწესებული ხმაურის დასაშვები ნორმები სხვადასხვა იქნება. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, კანონი 24 საათის განმავლობაში დაარეგულირებს ხმაურის დასაშვებ დონეს.

ჩვენ გვატყუებენ თუ თავს იტყუებენ?!

საქართველო საერთაშორისო ეკონომიკურ რეიტინგებში

საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებს, რა ადგილი უჭირავს საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსში, რადგან ამით წარმოდგენა ექმნება მის ადგილზე ზოგადად მსოფლიოში. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ 2017 წლის „გლობალური ინოვაციის ინდექსში“ მსოფლიოს 127 ქვეყანას შორის საქართველო, 34.39 ქულით, 68-ე პოზიციაზეა, რაც არცთუ საუკეთესო მაჩვენებელია და ძირითადად ჩამორჩება მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, სომხეთი რეიტინგში 59-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი – 82-ე, თურქეთი – 43-ე, რუსეთი – 45-ე, უკრაინა კი 50-ე ადგილზე. ამასთან, წინა წლის ინდექსთან შედარებით, საქართველო რეიტინგში ოთხი პოზიციით დაქვეითდა. კორნელის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა INSEAD-ისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ინდექსი 82 კომპონენტისგან შედგება. აქედან ძირითადი კომპონენტია 7: ინსტიტუციები, ადამიანური კაპიტალი და კვლევები, ინფრასტრუქტურა, ბაზრის განვითარების დონე, ბიზნესის განვითარების დონე, ცოდნა და ტექნოლოგიები, შემოქმედებითი მიღწევები.

ინსტიტუციების კომპონენტში საქართველო 47-ე პოზიციას იკავებს, ბიზნესის გარემოს ნაწილში – 53-ე ადგილს, ბიზნესის წამოწყების სიმარტივით ქვეყანა მე-8 ადგილზეა, ხოლო გადასახადების გადახდის სიმარტივით – მე-20 ადგილზე. აღსანიშნავია, რომ ბიზნესის ნაწილში საქართველოს აღნიშნულ კომპონენტებში პოზიციები გაუმჯობესებული აქვს.

ადამიანური კაპიტალისა და კვლევის კომპონენტში საქართველოს 89-ე პოზიცია აქვს, ინფრასტრუქტურა – 74-ე პოზიცია, ბაზრის განვითარების დონე – 53-ე ადგილი, ბიზნესის განვითარების დონე - 101-ე ადგილი, ცოდნა და ტექნოლოგიები – 54-ე პოზიცია, შემოქმედებითი მიღწევები – 69-ე პოზიცია.

„გლობალური ინოვაციების ინდექსის“ პირველ ხუთეულში აღმოჩნდნენ შვეიცარია, შვედეთი, ნიდერლანდები, აშშ და დიდი ბრიტანეთი.

Rank		Country	Score
1		Denmark	87
2	↑	Sweden	86
3	↓	Finland	85
3		Norway	85
5		UK	82
6		Switzerland	81
7	↑	Germany	80
7	↓	Netherlands	80
9		Iceland	78
10		Austria	77
11	↓	Ireland	76
11	↑	Estonia	76
13	↓	Belgium	75
13	↑	Luxembourg	75
15		France	73

Rank		Country	Score
16		Portugal	70
18	↓	Lithuania	69
18	↑	Latvia	69
18	↑	Georgia	69
18	↑	Slovenia	69
22	↓	Spain	67
23		Czech Republic	66
24	↓	Cyprus	64
25		Slovakia	63
26	↑	Romania	61
26		Croatia	61
26	↑	Hungary	61
29	↓	Malta	60
29	↑	Italy	60
31		Macedonia	59

Rank		Country	Score
33		Bulgaria	57
33	↑	Serbia	57
33	↑	Belarus	57
36	↓	Greece	56
37	↓	Turkey	54
37	↑	Albania	54
39	↓	Armenia	53
40	↑	Kosovo	52
40	↑	Kazakhstan	52
42	↓	Bosnia & Herz.	51
42	↓	Moldova	51
42	↓	Russia	51
45	↓	Azerbaijan	49
46		Ukraine	46

The rank in the chart reflects the GII Global publication

შედარებით უფრო ოპტიმისტური მაჩვენებლები ჰქონდა საქართველოს European Chamber-ის კვლევის – „საუკეთესო ევროპული ქვეყნები ბიზნესის წარმოებისთვის“ – მიხედვით, რომელზეც ადრეც ვისაუბრეთ. ამ კვლევის თანახმად, საქართველო მე-20 ადგილს იკავებს.

2016 წელთან შედარებით, 2017 წელს საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა 4 პოზიციით, სარეიტინგო შეფასება კი 64.7-დან 68.6-მდე გაიზარდა.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ამ შეფასებით საქართველო ევროპის ისეთ ქვეყნებს უსწრებს, როგორიცაა: ესპანეთი, იტალია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და საბერძნეთი.

ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს რეიტინგის მიხედვით, საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს რეგიონის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ბელორუსი, თურქეთი, სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, რუსეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა.

„European Chamber-ის კვლევის ფარგლებში 46 ევროპულ ქვეყანაში ბიზნესის წარმოება შეფასდა, რომელიც მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთებისა და Transparency International-ის კორუფციის აღქმის ინდექსებს ეყრდნობა. European Chamber-ის კვლევა მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთებისა და Transparency International-ის კორუფციის აღქმის ინდექსების საშუალო მაჩვენებელს იღებს და ზომავს ბიზნესის კეთების კონტექსტს ბიზნესგარემოს, კანონმდებლობის, ეკონომიკური პოლიტიკის, სოციალური კლიმატისა და ბიზნესზე მოქმედი რეგულაციების ჩათვლით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

გარდა ამისა, ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, საქართველო მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების რეიტინგში მე-16 ადგილს, ხოლო Transparency International-ის კორუფციის აღქმის რეიტინგში 44-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში.

WWW.RADIOTAVISUPLEBA.GE

კონტროლი მთელი ქვეყნის მასშტაბით

12-18 ივნისს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის მი-

ერ ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მიმდინარე კონტროლის ღონისძიების შედეგად, საგადასახადო სამართალდარღვევის 1018 ფაქტი გამოვლინდა. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის ოფიცრების მიერ შემოწმდა 10897 გადამხდელი, რის შედეგადაც დაფიქსირდა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევები: საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების 82 შემთხვევა; ეკონომიკური საქმიანობის გადასახადის გადამხდელად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით განხორციელების 86 ფაქტი; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობის 850 შემთხვევა.

◎ ჩვენი შემოსავალი

უთანაბრობის მძიმე უღელი

ოფიციალური სტატისტიკა და ხალხის რეალური ცხოვრება ერთმანეთს უსაშველო მანძილით რომაა დაშორებული, დიდი ხნის ცნობილი და დიდად „გაცვეთილი“ ამბავიცაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე, ეპოქიდან ეპოქამდე, მათ შორის შეფარდება ერთსა და იმავე დონეზე რჩება – სტატისტიკა ერთს აჩვენებს, მოსახლეობის ყოფა კი, თავისი გზით მიდის.

ასეა ახლაც: წლევანდელ სტატისტიკურ მონაცემებს თუ ვენდობით, ქვეყნის ეკონომიკაში დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა (ისე, კაცმა რომ თქვას, იგივე ფორმულირება იყო, ვთქვათ, შარშანაც და შარშანწინაც, იმის წინაც, წინა ხელისუფლების დროსაც და იმის წინა დროსაც!), რაც ძირითადად იმით გამოიხატება, რომ ეკონომიკური ზრდის წინასწარმა მაჩვენებელმა წლის პირველ თვეებში 5 პროცენტზე ოდნავ მეტი შეადგინა, რაც 2014 წლის მე-2 ნახევრიდან მოყოლებული, ყველაზე მაღალი ნიშნულია. რეგიონში პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით ეს, თავისთავად, უაღრესად სასიხარულო ამბავია, თუმცა რამდენიმე „მაგრამ“ ახლავს, რაც მთავრობის ეკონომიკური გუნდის ზოგიერთ დიდად გაპიარებულ წამოწყებას, კერძოდ, საწარმოთა მოგების გადასახადით დაბეგვრის ე.წ. „ესტონურ მოდელზე“ გადასვლას, ფაქტობრივად, შედეგი არ მოჰყოლია. შეგახსენებთ, რომ მისი არსი შემდეგში მდგომარეობს, საწარმოთა მოგების ის ნაწილი, რომელიც მათ გაფართოება-განვითარებას მოხმარდება და არა მეპაიეებში განაწილდება, გადასახადით არ დაიბეგრება. წლეულს ამ საგადასახადო შეღავათით არავის არ უსარგებლია, რაც მოგების გადასახადის ინდიკატორი მაჩვენებლის საკმაოდ სოლიდური, 53 მილიონ ლარზე მეტით გადაჭარბებით დასტურდება. ეს კი, როგორც ჩანს, პირველ ყოვლისა, იმის ნიშანია, რომ მოსახლეობის ერთი, გაცილებით მცირე ნაწილი სხვებზე, ანუ აბსოლუტურ უმრავლესობაზე გაცილებით შეძლებულად ცხოვრობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ქვეყნის მოსახლეობაში საერთო შემოსავალი უდიდესი უთანასწორობით ნაწილდება**.

ამასვე მოწმობს საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები: ჯინის კოეფიციენტის მიხედვით (0,4) ბოლო ანგარიში აღნიშნულია, რომ **იმ ორ ათეულ ქვეყანას შორის, სადაც მთლიანი ეროვნული შემოსავალი ყველაზე უთანაბროდ ნაწილდება, საქართველო მე-8 ადგილზეა,** ყველა სფეროში ერთიანად მიღებული შემოსავლის გადანაწილების მხრივ, ჩვენზე „წინ“ არიან მხოლოდ ისეთი „წაქცეული“ ქვეყნები, როგორებიცაა **სვაზილენდი, ნიგერია, ნამიბია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მექსიკა, ინდონეზია და ბოსტვანა**.

მაინც, რა განაპირობებს იმას, რომ ეკონომიკური თავისუფლების ხარისხით მსოფლიოს ერთ-ერთ ნამდვილად გამორჩეულ საქართველოს, რომელიც ამ რეიტინგში განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის მეტად თვალსაჩინო მე-13 პოზიციაზეა, უთანასწორობის კოეფიციენტით ასე არასახარბიელოდ ადგილზე იმყოფება? ოფიციალური სტატისტიკით, **3,5- მილიონიან ქვეყანაში სოციალური შემწეობის მიმღები 383 ათასი ოჯახია, ეს რიცხვი, სულ მცირე ოთხ კაცზე მაინც რომ გავამრავლოთ, მოსახლეობის ლამის ნახევარს მივიღებთ!** ცხადია, რომ სიღარიბის ზღვარს ქვევით ეს ხალხი არც ერთ და არც ორ წელიწადში ჩამოსულა, რაც არამარტო ახლანდელი მთავრობის, არამედ უკლებლივ ყველა მისი წინამორბედის, რბილად რომ ვთქვათ, არასრულფასოვანი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. არადა, თვალის ერთი გადავლებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი რიგი მაკროეკონომიკური პარამეტრით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი თითქოს რიგზე უნდა იყოს. არადა, ხალხი დღითი დღე ღარიბდება!

უთანაბრობის ამ არასახარბიელო სიის თუნდაც უფრო შორეულ ადგილებზე გადასანაცვლებლად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, მოგების განაწილების მეტ-ნაკლებად რეალურად გათანაბრების გარეშე სრულიად წარმოუდგენელია, ამიტომ საჭიროა მრავალი სასწრაფო რეფორმის გატარება. ამის თაობაზე წინა მასალებშიც არაერთგზის გვქონია ლაპარაკი, მაგრამ, რომ იტყვიან, გამეორება ცოდნის დედაა: საამისოდ საჭიროა ფულადი ნაკადების ისე გადანაწილება, რომ მათი ძირითადი ნაწილი ეკონომიკის რეალურ სექტორში და არა მხოლოდ რამდენიმე დომინანტი კომერციული ბანკის ანგარიშებზე ხვდებოდეს, რომელთა ზღვარგადასული მადის შესამცირებლად სათანადო რეგულაციების შემოღებაა აუცილებელი, ასევე სოფლის მეურნეობისა და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარების ხელშეწყობა, საპენსიო რეფორმის დაჩქარება, ქამრების რეალურად და არა საპიაროდ შემოჭერა, მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა და არა გაურკვეველი დაპირებებით „კვება“, ასევე კიდევ უამრავი სხვა რამ, რის შესახებ კარგად მოეხსენებათ მათ, ვისაც ყოველივე ზემოთქმულის ძალაც შესწევთ და ვალდებულებაც აკისრიათ.

ოთარ ტურაბელიძე

მკითხველს ფიქრისკენ და განსჯისკენ უბიძგებდა...

აკადემიკოსი ედიშერ ხოშტარია-ბროსე – მეცნიერი და მოქალაქე



ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ედიშერ ხოშტარია-ბროსე ქართველ ისტორიკოსთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელსაც წილად ხვდა პატივი პროფესიული წვრთნა სტუდენტობიდანვე უშუალოდ ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით გაევლო. 1949 წელს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული საქართველოს ისტორიის კაბინეტის გამგედ მიიღეს. 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1956-1962 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, შემდგომ ახალი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, სადაც უკვე 1969 წელს სადოქტორო დისერტაცია დაიცვა. მისი ადრინდელი ნაშრომები ეძღვნება საქართველოში მიმდინარე მრეწველობის ჩასახვა-განვითარებისა და მასთან დაკავშირებული ახალი სოციალური ძალების ფორმირების პროცესებს, რომლებიც, მისი დაკვირვებით, აღმოსავლეთ საქართველოში XVII საუკუნის მიწურულიდან იწყება. ამ გამოკვლევების შედეგები ასახულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მე-5 ტომში.

1972 წელს იგი სათავეში ჩაუდგა კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის) დიპლომატიკის განყოფილებას. 10 წლის განმავლობაში, სანამ იგი დიპლომატიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, დასრულდა ისეთი დიდი სამუშაოები, როგორებიც იყო ისტორიული დოკუმენტების ფონდების კატალოგიზაცია, „ისტორიულ პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ხუთტომეული, მომზადდა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, მოეწყო ეპიგრაფიკული ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, დამუშავდა ნიკო ბერძენიშვილის პირადი არქივი და ბიბლიოთეკა. 1982 წელს ედიშერ ხოშტარია-ბროსემ დაიკავა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა სამეცნიერო ნაწილში, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე უძღვებოდა. ადმინისტრაციული საქმიანობით მუდამ დატვირთულს არასოდეს შეუნელებია სამეცნიერო საქმიანობა. ფართო ერუდიცია მას საშუალებას აძლევდა თავისუფლად ეკვლია სრულიად სხვადასხვა პერიოდისა და მიმართულების პრობლემატიკა.

სოციალური საკითხები დიდხანს დარჩა ედიშერ ხოშტარია-ბროსეს განსაკუთრებული ინტერესის საგანი, მაგრამ ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობისას ეს ინტერესი მან შუა საუკუნეების მთისა და ბარის საზოგადოებებზე გადაიტანა. ამ საზოგადოებათა განვითარების დინამიკის საჩვენებლად იგი დაწვრილებით იკვლევდა სოციალურ ტერმინოლოგიას, რასაც იყენებდა თავისი მოსაზრებების გასამყარებლად იმ ფართო სამეცნიერო დისკუსიაში, რომელიც 1970-იან წლებში საქართველოში ფეოდალიზმის სტადიალური განვითარების პრობლემატიკას ეძღვნებოდა. ედიშერ ხოშტარია-ბროსეს მრავალი სამეცნიერო სტატია ეხება საქართველოს მთის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის კვლევას. ამ მიმართულებით მისი კვლევის შედეგები თავმოყრილია 1984 წელს გამოცემულ წიგნში: „ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები“, სადაც ასახულია სვანეთის, ქსნისა და არაგვის ხეობების სოციალური განვითარებას სურათი საქართველოს ერთიანი მონარქიის ფარგლებში და ის სოციალური ტეხილები, რომლებიც გამოიწვია ერთიანი სამეფოს რღვევამ. ამ საკითხთა კვლევაში ედიშერ ხოშტარია-ბროსე ერთვება ახალი მოსაზრებებით და ახალი დაკვირვებებით. მის შეფასებებში გამოკვეთილია განვითარების სპეციფიკური პირობები, წარმოქმნილი მთის ყოველ ცალკეულ რეგიონში, შეფასებულია პოლიტიკური და რელიგიური ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენდნენ ადგილობრივი მოსახლეობის როგორც სოციალური დაწინაურების, ასევე მერმინდელი სტაგნაციის პროცესებზე. ავტორის ყოველი დებულება დასაბუთებულია ძალზე დამაჯერებლად, ახალი არგუმენტებით და მკაფიოდ შერჩეული მასალით.

დიპლომატიკის განყოფილების ხელმძღვანელობის წლებში ედიშერ ხოშტარია-ბროსემ ზედმიწევნით შეისწავლა ქართული ისტორიული საბუთების კოლექციათა წარმოქმნის ისტორიული გარემოებები, და ამ საქმეში XIX საუკუნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ობიექტური როლი. ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობამ მას საკვლევი ტექსტების უშუალოდ ხელნაწერებში გაცნობის უაღრესად პოზიტიური გამოცდილება შესძინა, რამაც საშუალება მისცა, დაედგინა ქართული სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლების არქეტიპული ნუსხები, გაერკვია წინამორბედ მკვლევართა შორის საკამათოდ ქცეული ბუნდოვანი პასაჟების მნიშვნელობანი, ახლებურად გაეაზრებინა ამ ძეგლებთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური, ქრონოლოგიური და ტერმინოლოგიური საკითხები. ამ დაკვირვებებმა მიიყვანა მკვლევარი დასკვნამდე, რომ XIV საუკუნე შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივი საქმიანობის აღმავლობის საუკუნედ, და რომ საქართველოში სამოქალაქო კოდექსის პირველი ნიმუშები ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნებია და რომ ამავე ეპოქას ეკუთვნის ე. წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნიც. მისი მოსაზრებით, XIV საუკუნემდე ერთიან ქართულ მონარქიაში მოქმედებდა პრეცედენტული სამართალი, რომელიც ეფუძნებოდა მეფეთა მიერ სხვადასხვა დროს გამოტანილ განჩინებებს და ნაწილობრივ საეკლესიო სამართალს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომლის დამუშავებას ედიშერ ხოშტარია-ბროსემ დიდი ძალისხმევა შეალია, არის „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ციკლის თხზულებების ატრიბუციასთან და სტრუქტურასთან დაკავშირებული სადავო საკითხები. ტექსტის კვლევას მან საფუძვლად დაუდო შედარებით ნაკლებად შესწავლილი მხარეების: კომპოზიციის, თხრობის სტილის, ჟანრული სპეციფიკის, ეთნოსოციალური და პოლიტიკური ტერმინოლოგიის, სტერეოტიპული ფრაზეოლოგიების, ათვლის სისტემების შესწავლა. მისი დაკვირვებები და კვლევის შედეგები თავმოყრილია 1996 წელს გამოცემულ წიგნში: „ლეონტი მროველი და “ქართლის ცხოვრება“. ედიშერ ხოშტარია-ბროსემ დიდი ძალისხმევა შეალია „ქართლის ცხოვრების“ ახალი პუბლიკაციის მომზადების საქმეს, რომლის გამოცემას (2008 წ.) იგი, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო. ედიშერ ხოშტარია-ბროსე ავტორია საენციკლოპედიო სტატიებისა საქართველოს ისტორიის შესახებ, რომლებიც 1960-70-იან წლებში იბეჭდებოდა იმჟამინდელ საკავშირო ენციკლოპედიებში (СИЭ, БСЭ), აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიისა და სომხეთის ენციკლოპედიებში.

ედიშერ ხოშტარია-ბროსეს ეკუთვნის ბიობიბლიოგრაფიული სერიით გამოცემული მცირე ნარკვევები ივანე ჯავახიშვილზე, სიმონ ჯანაშიაზე, ნიკო ბერძენიშვილზე და სხვ., რომლებიც ეხება XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების პრობლემატიკას. ამ თემატიკას იგი კვლავ უბრუნდება 1980-1990-იან წლებში და აქვეყნებს განმაზოგადებელ ნაშრომებს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების გზებზე, მეთოდოლოგიურ პრობლემებზე და სამომავლო ამოცანებზე.

ედიშერ ხოშტარია-ბროსე, როგორც ისტორიკოსი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე, ერთ-ერთი იყო იმ არც თუ მრავალრიცხოვან ისტორიკოსთაგან, რომლებიც მყისიერად ეხმაურებოდნენ საზოგადოებისათვის მეტად აქტუალურ საკითხებს. 1989 წლიდან მოყოლებული, იგი ქართულ და რუსულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებს წერილებს აფხაზური და ოსური სეპარატიზმის წარმომშობ გარემოებებზე, იცავს ქართველ ისტორიკოსებს ისტორიის გამყალბებელთა თავდასხმებისაგან, მიმართავს აფხაზ კოლეგებს, რუსეთის პარტიულ და სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს სტრუქტურებს, პოპულარული გაზეთების რედაქტორებს. 1993 წელს ქვეყნდება მისი ნაშრომი: Межнациональные отношения в Грузии – причины конфликтов и пути их преодоления; 1996 წელს იბეჭდება: История и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте; 1999 წელს ედიშერ ხოშტარია-ბროსესა და აკადემიკოს როინ მეტრეველის თანაავტორობით გამოდის პუბლიცისტური პათოსით გაჯერებული ბროშურა Россия и грузия на пороге нового тысячелетия. 2000 წელს კვლავ ქვეყნდება ედიშერ ხოშტარია-ბროსეს პოპულარული ნაშრომი: „აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში“, რომლითაც მკითხველს აცნობს ქართველ მკვლევართა სამეცნიერო მოსაზრებებს, დამყარებულთ უკლებლივ წყაროთა ჩვენებებზე; განუმარტავს მკითხველს, თუ რა მონაცემებს იყენებენ სეპარატისტები ისტორიის გასაყალბებლად და, იმავდროულად, განმარტავს საკუთრივ ქართული მხარის მიერ დაშვებული შეცდომების არსს.

უსათუოდ ყურადსაღებია ამ ნაშრომთა პუბლიცისტური ტონალობა, გამსჭვალული პატივისცემის გრძნობით მოწინააღმდეგე მხარისადმი, სანიმუშო პოლემიკური კულტურა და ამავე დროს პრინციპული პოზიციები, დამყარებული აკადემიური კვლევის შედეგებზე. ეს ნაშრომები მკითხველს უსათუოდ უბიძგებს ფიქრისა და განსჯისაკენ, მეცნიერული მემკვიდრეობის პატივისცემისაკენ. ამ მემკვიდრეობას უდიდესი მოწიწებით უფრთხილდებოდა თავად აკადემიკოსი ედიშერ ხოშტარია-ბროსე, რომელიც თავდაუზოგავად და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით ემსახურებოდა თავის პროფესიას და ქვეყანას.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

კონკურსში „თბილისი“ მონაწილეობის მსურველთა საყურადღებოდ!

ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსში „თბილისი“ მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება გრძელდება. კონკურსი, რომელიც ერთდროულად ხელოვნებისა და ლიტერატურის რამდენიმე სფეროს მოიცავს, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით ხორციელდება.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის შეტანა წლის საუკეთესო პროზაული, პოეტური, ფერწერული, ფოტოხელოვნებისა და არქიტექტურის, ასევე წლის საუკეთესო სიმღერისა და ქანდაკების ნომინაციებზე შეეძლებათ. სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის კი წარმოდგენილია ნომინაცია „წლის საუკეთესო ესე“, რომელშიც თემატიკა ყოველწლიურად განსხვავებულია. წელს ესსეს თემებია: „ილიას საქართველო“, ასევე ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი შემოქმედება. ამასთან, განსაკუთრებული ღირებულების მქონე ნაწარმოებს ჟიური სპეციალურ პრიზს გადასცემს.

ნამუშევრების მიღება 8 სექტემბრამდე გაგრძელდება, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოება, რომლებსაც კონკურსის სიმბოლო – ხოხობი და ერთჯერადი ფულადი პრემია გადაეცემათ, „თბილისობის“ ღონისძიების ფარგლებში მოხდება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ნაწარმოების გამოგზავნა ელექტრონული სააპლიკაციო საკონკურსო განაცხადის შევსება, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზეა განთავსებული. ელექტრონული სააპლიკაციო ფორმა (საკონკურსო განაცხადი)

ელექტრონული ფოსტის მისამართია: konkursitbilisi@bsakrebulo.gov.ge.

განცხადება გაუქმების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) აცხადებს ფონდის მიერ 2017 წლის 23 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული განცხადების - **ქარელის მუნიციპალიტეტში სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მეორე რიგის გამანაწილებლების გ-22; გ-23; გ-25; გ-27; გ-30; გ-31; გ-32; გ-33; გ-35-ისა და გ-36 და მათი სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია, კონტრაქტი** №: AMMAR/CW/2017/10 გაუქმების შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR).

მომავალი საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული სისტემით ჩატარდება

***რამდენიმესაათიანი** მსჯელობისა და განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით შეთანხმება მიღწეულია: პრემიერ-მინისტრისა და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლების შეხვედრაზე გადაწყდა, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული სისტემით ჩატარდება, თუმცა პარტიებისთვის არსებული 5%-იანი ბარიერი 3%-მდე დაიწევს.*

„კონსტიტუციის თაობაზე კონსენსუსი შედგა იმ გუნდში, რომელსაც საქართველოს მოსახლეობამ საკონსტიტუციო ნდობა გამოუცხადა. კერძოდ, ჩვენ შევთანხმდით იმაზე, თუ რა სახით ჩამოყალიბდება საარჩევნო სისტემა. როგორც ვვარაუდობდით, ჩამოვყალიბდით იმაზე, რომ მომდევნო საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება შერეული სისტემით, ხოლო ამის შემდეგ უკვე გადავალთ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე ბონუსის დანამატით. ეს არის ის კონსენსუსი, რომელიც შედგა. რაც შეეხება მომდევნო არჩევნებს, საუბარი გვქონდა, რომ შესაძლებელია, ერთჯერადად დავწიოთ საარჩევნო ბარიერი მომდევნო არჩევნებში შერეული სისტემის პირობებში. საბოლოო პოზიცია ამასთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში დაზუსტდება“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

ვენეციის კომისიამ გუშინ საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა.

დასკვნის ტექსტიდან დღეს რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ:



„ზოგადად, შემოთავაზებული რეფორმა პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. ის ასრულებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის საპარლამენტო სისტემაზე გადასვლის პროცესს, რომელიც 2010 წელს დაიწყო საკონსტიტუციო რეფორმით და დადებით წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ქვეყნის საკონსტიტუციო წესრიგის კონსოლიდირებისა და გაუმჯობესების კუთხით. ის ასევე დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის პრინციპებს ეფუძნება.

2010 წელს გამოთქმულ მოსაზრებაში ვენეციის კომისიამ რეკომენდაცია გასცა, პარლამენტის უფლებამოსილების გაძლიერება და, კერძოდ, უნდობლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული კენჭისყრის პროცედურის გადახედვა მომხდარიყო. კომისიის შეფასებით, შეთავაზებული რეფორმით

ხდება ამ მიზნების მიღწევა და ვენეციის კომისია მხოლოდ მიესალმება კონსტიტუციის გადახედვის მიმდინარე პროცესს. რაც შეეხება თვით პროცესს, ვენეციის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა სცადოს, ყველაზე ფართო კონსენსუსს მიაღწიოს ამ მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო რეფორმისთვის.

საქართველო კვლავაც რჩება საკმაოდ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, რომლის პარლამენტი უახლოეს მომავალში ერთპალატიანად დარჩება. საქართველოს აკლია დამოუკიდებელი სასამართლოს ხანგრძლივი ტრადიცია. მსგავს ვითარებაში პარლამენტში უმრავლესობის დომინირების რისკი არსებობს და მომავალში ყურადღება უნდა მიექცეს ძალთა ბალანსის გაძლიერებას, მაგალითად, მეორე პალატის შემოღებით და პარლამენტში ოპოზიციის როლის გაძლიერებით.

მოქმედი პროპორციულ-მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის შეცვლა პროპორციული სისტემით, უდავოდ, პოზიტიური ნაბიჯია, რომელიც პარლამენტში პლურალიზმის გაძლიერებას ემსახურება. თუმცა ეს დადებითი, წინგადადგმული ნაბიჯი იზღუდება სამი მექანიზმით: 5%-იანი საარჩევნო ბარიერის შენარჩუნებით; 5%-იანი ბარიერის მიღმა გადაუნაწილებელი ხმების გამარჯვებული პარტიისთვის მიკუთვნებით; საარჩევნო კოალიციების (პარტიული ბლოკების) გაუქმებით.

მიუხედავად იმისა, რომ 5%-იანი ბარიერი ევროპულ სტანდარტებს სრულად შეესაბამება და როგორც ასეთი, არ ექვემდებარება კრიტიკას, ეს სამი მექანიზმი მოქმედებს მცირე პარტიებისა და პლურალიზმის საზიანოდ და უფრო მეტად სამართლიანი წარმომადგენლობისა და საარჩევნო თანასწორობის პრინციპებისგან გადახვევას წარმოადგენს, ვიდრე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საჭირო აუცილებლობას“, — ნათქვამია დასკვნაში.

ამ ფონზე ვენეციის კომისია რეკომენდაციას იძლევა, რომ გადაუნაწილებელი მანდატების განაწილების სხვა ალტერნატიული ვარიანტებიც იყოს მიღებული, როგორიცაა:

— პროპორციული გადანაწილება ყველა პოლიტიკურ პარტიაზე, რომელიც 5%-იან ბარიერს გადალახავს;

— ან ზედა ზღვრის დაწესება გამარჯვებული პარტიისთვის მისაკუთვნებელ გადაუნაწილებელ მანდატებზე;

— და/ან ბარიერის 2-3%-მდე შემცირება, რაც ასევე ეხება პროპორციული სისტემით დარჩენილი მანდატების გადანაწილებას.

პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის წესის შემოღება, როგორც ასეთი, ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. მისასალმებელია, რომ ახალი სისტემა არ იქნება გამოყენებული მომავალი წლის არჩევნებისას და მხოლოდ 2023 წლიდან ამოქმედდება. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მოქმედი სენატის არარსებობის პირობებში, საქართველოს საკონსტიტუციო სისტემაში საპარლამენტო უმრავლესობის მქონე ძლიერი მთავრობის მთავარი გამაწონასწორებელი პრეზიდენტია. შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რომ არაპირდაპირი არჩევის წესზე გადასვლამ არ შექმნას საფუძველი მუდმივად საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ექსკლუზიურად წარდგენილი კანდიდატის გამარჯვებისთვის. მისაღებია ზომები, რაც უკეთ უზრუნველყოფს პარლამენტში პლურალიზმს და, შესაბამისად, ძალთა ბალანსის სისტემა საჭიროა. ვენეციის კომისია კვლავ იმეორებს თავის რეკომენდაციას გადაუნაწილებელი მანდატების განაწილებასთან და/ან ბარიერის შემცირებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რეკომენდებულია პრეზიდენტის არჩევის პირველ ტურში კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნა.

რაც შეეხება ბიუჯეტს, ვენეციის კომისია კვლავ იძლევა რეკომენდაციას, რომ პარლამენტის როლი გაძლიერდეს. დებულება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ნებისმიერი ცვლილება მოითხოვს მთავრობის თანხმობას, უნდა გადაიხედოს.

ფუნდამენტური უფლებები:

— ცვლილებების პროექტის 30-ე მუხლი არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც ერთსქესიანთა პარტნიორობის აკრძალვა;

— რეკომენდებულია, მკაფიოდ იყოს აღიარებული რელიგიის თავისუფლება ცვლილებების პროექტის მე-16 მუხლში; რეკომენდებულია რწმენისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვის სხვა ლეგიტიმური მიზნების ჩართვა, როგორც მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლში და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის მე-18 მუხლში;

— „პოლიტიკური პარტიის ტერიტორიული ნიშნით“ შექმნის აკრძალვა (კონსტიტუციის პროექტის 23 (3) მუხლი) ამოღებული უნდა იყოს;

— რეკომენდებულია, რომ ბავშვთა უფლებები ფორმულირებული იყოს ცალკე საკონსტიტუციო დებულებაში.

მართლმსაჯულების შესახებ:

— მოსამართლეთა თანამდებობებზე ყოფნა უნდა გახანგრძლივდეს არაორაზროვანი ვადით; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების პარლამენტის მიერ არჩევა უნდა ჩანაცვლდეს მათი დანიშვნით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან პრეზიდენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით;

— პროკურორის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულება სამართლებრივი დევნის თუ არდევნის ინდივიდუალურ შემთხვევებში ცალსახად უნდა გამოირიცხოს. თუ ანგარიშვალდებულება პროცედურებისგან გათავისუფლებას გამოიწვევს, გარანტირებული უნდა იყოს საქმეების სამართლიანი განხილვა;

— რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოსამართლეებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრების არჩევა კვალიფიციური უმრავლესობის მიერ, რომლებსაც პარლამენტი ირჩევს; ანალოგიურად, გენერალური პროკურორის არჩევისას;

— საკონსტიტუციო სასამართლოსთვის იმის აკრძალვა, რომ არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც საარჩევნო წლის განმავლობაში არჩევნებს არეგულირებს (თუ ეს ნორმა არ იქნა მიღებული შესაბამის არჩევნებამდე ერთი წლით ადრე), არაპროპორციულად ზღუდავს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას, განიხილოს არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობის კონსტიტუციურობა.

სახალხო დამცველი:

— რეკონმენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს პარლამენტში კვალიფიციური უმრავლესობა სახალხო დამცველის დანიშვნისთვის.

— სახალხო დამცველის 5-წლიანი ვადით არჩევა ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება, თუმცა მისი უფრო ხანგრძლივი ვადით დანიშვნა შესაძლოა, უკეთესი იყოს დამოუკიდებლობის თვალსაზრისით“.

საბურთალოს ხაზს მეტროს ახალი შემადგენლობა დაემატა

თბილისის სატრანსპორტო კომპანიის განცხადებით, პეკინის ქუჩის რეაბილიტაციის გამო, თბილისის მეტროს საბურთალოს ხაზზე მგზავრთა ნაკადი გაიზარდა — ამ დრომდე მოძრაობდა 6 3-ვაგონიანი შემადგენლობა.

„მოთხოვნის შესაბამისად, გუშინ დილიდან დაემატა მეშვიდე სამვაგონიანი შემადგენლობა. სატრანსპორტო კომპანიის შესაბამისი სამსახურები დღის განმავლობაში დააკვირდებიან მგზავრთა ნაკადებს და საჭიროების შემთხვევაში, საბურთალოს ხაზს კიდევ ერთი სამვაგონიანი მოძრავი შემადგენლობა დაემატება.

თუ ახლა მატარებლების მოძრაობას შორის ინტერვალი 4,5 -5 წუთია, ახალი შემადგენლობის დამატება გამოიწვევს მოძრაობის ინტერვალის 25 წამით შემცირებას“, — აცხადებენ კომპანიაში.

აჭარაში გიდების გადამზადება სრულდება

ამჟამად, პრაქტიკული ტრენინგები მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების გიდებს უტარდებათ. დღეს ისინი, ხულოში არსებულ ტურისტულ მარშრუტზე იმყოფებიან, სადაც სხალთა-ხიხანის და ხულო-გოდერძი-მწვანეტბის მარშრუტს გადიან.

რამდენიმე დღის წინათ კი მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტის გიდებმა შუახევში ჩირუხის სათავგადასავლო ტური გაიარეს. მოინახულეს მარშრუტზე არსებული ტურისტული ადგილები — გულისა და ჩირუხის ტბები, ოლადაურის მუზეუმი, ოქროპილაურისა და დარჩიძეების ციხეები. ასევე გაეცვნენ საოჯახო-სასტუმრო სახლებსა და მათ სერვისებს.

გადამზადების მსურველმა გიდებმა პრაქტიკული და თეორიული ტრენინგები დაასრულეს ქედისა და მაჭახელას ტურისტული მარშრუტების მიმართულებით. ისინი ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოში ტრენინგისას მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეფასებას ელოდებიან.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



„სტალინმა უარყო, რომ ხაზი ჩერჩილის რუკაზე სწორად არაა შეტანილი. ლვოვი უნდა დარჩეს საბჭოთა კავშირის საზღვრებში, საზღვრის ხაზი კი უნდა გავიდეს სამხრეთით. სტალინმა დაუმატა, რომ მოლოტოვს აქვს ზუსტი რუკა „კერზონის ხაზით“ და მისი დაწვრილებითი აღწერით. მაგრამ, ამასთან ერთად, ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონეთი მართლაც უნდა იყოს დიდი სახელმწიფო განვითარებული მრეწველობით და მეგობრული დამოკიდებულებით საბჭოთა კავშირთან. ამ დროს მოლოტოვმა გასცა განკარგულება, მოეტანათ რუკა, რომელიც სტალინმა ახსენა. რამდენიმე წუთში მოიტანეს დიდი შავი საქაღალდე. მოლოტოვმა გახსნა იგი, გაშალა რუკა მაგიდაზე და მიუთითა მასში შეტანილ „კერზონის ხაზზე“. მოლოტოვმა ასევე წაიკითხა რადიოგრამის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდა ლორდი კერზონი, მასში ზუსტად იყო მითითებული პუნქტები, რომლებზეც გადის ეს ხაზი. რუკაზე ამ პუნქტების დაზუსტების შემდეგ საკითხი უკიდურესად ნათელი გახდა. საბჭოთა მხარის პოზიციის სადავოდ გახდომა უკვე აღარ შეიძლებოდა. ჩერჩილი და იდენი ვერაფრის წინააღმდეგ ვერ წავიდნენ. როდესაც სტალინს მიმართავდა, ჩერჩილმა თქვა:

— როგორც ჩანს, კონფერენციის მონაწილეებს არ აქვთ არსებითი განსხვავებანი საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებთან დაკავშირებით, მათ შორის, ლვოვის პრობლემასთანაც...

ლვოვი სსრ კავშირში დარჩა. ჩერნოვციც, რომელიც არასოდეს შედიოდა არც რუსეთის იმპერიის, არც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

* * *

და აი, რასაკვირველია, წმინდა ანეკდოტური წარმოდგენა სტალინის ჩერჩილთან ურთიერთობის „მეთოდებთან“ დაკავშირებით.

ჟუკოვი სტალინის კაბინეტშია. შემოდის სტალინის მდივანი პოსკრებიშევი:

— იოსებ ბესარიონის ძევ, ტელეფონთან ბატონი ჩერჩილი გთხოვთ.

სტალინი იღებს ტელეფონის ყურმილს:

— სტალინი გისმენთ.

— არა.

— არა.

— არა.

— კი.

— არა.

დებს ყურმილს.

ჟუკოვი ეკითხება:

— იოსებ ბესარიონის ძევ, თქვენ ჩერჩილს ყველაფერზე უარს ეუბნებოდით, მაგრამ ერთხელ მაინც თქვით „კი“...

სტალინი:

— ის შემეკითხა, კარგად თუ მესმის მისი.

* * *

აი, კიდევ ერთი დიდებული ანეკდოტი.



თეირანის კონფერენციაზე რუზველტსა და ჩერჩილს მოსწყინდათ, რომ სტალინი მუდმივად ახდენს ზემოქმედებას მათზე, გადის მხოლოდ მისი წინადადებები, ის ერთი ახვევს თავზე ორივეს თავის ნებას. და მათ გადაწყვიტეს მისი გათამამება. დილით მორიგი სხდომის წინ ჩერჩილი ამბობს: „დღეს დამესიზმრა, რომ მსოფლიოს მბრძანებელი გავხდი!“

— მე კი დამესიზმრა, — თქვა რუზველტმა, — რომ სამყაროს მბრძანებელი გავხდი! თქვენ რა გესიზმრათ, მარშალო სტალინ?

— მესიზმრა, — აუჩქარებლად უპასუხა სტალინმა, — რომ მე არ დამიმტკიცებიხართ არც თქვენ, ბატონო ჩერჩილ, არც თქვენ, ბატონო რუზველტ.

* * *

აი, არა ანეკდოტი, არამედ წმინდა სიმართლე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ სამდღიანი ვიზიტით ფრანგი პრემიერი ლავალი ჩავიდა მოსკოვში, სადაც ის გულთბილად მიიღო სტალინმა. სტალინი და მოლოტოვი, რასაკვირველია, ცდილობდნენ, უწინარეს ყოვლისა, გაერკვიათ, როგორი იქნებოდა საფრანგეთის არმიის რიცხოვნება დასავლეთის ფრონტზე, რამდენი დივიზია, რამდენია სამსახურის ვადები. მას შემდეგ, რაც დაამთავრეს ასეთი ხასიათის საკითხები, ლავალმა იკითხა:

— ხომ არ შეგიძლიათ, გააკეთოთ რაიმე რუსეთში რელიგიისა და კათოლიკეების წასახალისებლად? როგორ დამეხმარებოდა მე ეს პაპთან საქმიანობაში.

— ოჰო! — წამოიძახა სტალინმა. — პაპი! იმას რამდენი დივიზია ჰყავს?

* * *

სტალინი სამხატვრო თეატრში სპექტაკლზე მივიდა. მას შეხვდა რეჟისორი სტანისლავსკი, გაუწოდა ხელი და თქვა:

— ალექსეევი, — დაასახელა თავისი ნამდვილი გვარი.

— ჯუღაშვილი, — უპასუხა სტალინმა, ჩამოართვა გამოწვდილი ხელი და წავიდა თავისი სავარძლისკენ.

* * *

1948 წელს სტალინი უყურებდა ფილმს „მატარებელი მიდის აღმოსავლეთისკენ“. ფილმი დიდად არ გამოირჩეოდა. მოქმედება მატარებელში ხდება. და აი, მატარებელი ჩერდება.

— რომელი სადგურია ეს? — იკითხა სტალინმა.

— დემიანოვკა.

— აი, მეც აქ ჩამოვალ, — თქვა სტალინმა და დარბაზიდან გამოვიდა.

* * *

არ გაურბოდა სტალინი იუმორს, როდესაც ლაპარაკობდა სერიოზულ თემებზე, გამოდიოდა პარტიულ ყრილობებზე. და ეს მკაფიოდ გამოარჩევდა მას მათგან, ვინც შემდგომ უხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირს. წარმოვიდგინოთ ყრილობის ტრიბუნიდან გორბაჩოვის ხუმრობა, პრაქტიკულად შეუძლებელია. აი, მაგალითად, სტალინის გამოსვლის ფრაგმენტი პარტიის XVI ყრილობაზე, 1930 წლის ზაფხულში.

„განსაკუთრებულ სასაცილო ფორმებს ღებულობს მათთან (მემარჯვენე ოპოზიციასთან — ნ.ს.) თვისებები ადამიანისა ფუტლარში სირთულეების წარმოჩენის დროს, ჰორიზონტზე პაწაწინა ღრუბლის გამოჩენის დროს. გამოჩნდა ჩვენთან სადღაც რაღაც სირთულე, შეფერხება — ისინი უკვე განგაშში არიან: ვაი-თუ რაღაც გამოვიდესო. გაიფაჩუნა სადღაც ტარაკანმა, ჯერ კიდევ რომ არ გამოსულა ბოლომდე ბუდიდან — ისინი უკვე უკან გარბიან, ცვივდებიან სასოწარკვეთილებაში და იწყებენ ჩივილს კატასტროფის შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვის შესახებ (საერთო ხარხარი).

ჩვენ ვამშვიდებთ მათ და ვცდილობთ დავარწმუნოთ, რომ აქ არაფერია სახიფათო, რომ ეს უბრალოდ ტარაკანია, რომელსაც არაფრის არ უნდა ეშინოდეს. ილაპარაკე რამდენიც გინდა! ისინი კვლავ თავისაზე არიან: „რა ტარაკანი? ეს არის არა ტარაკანი, არამედ ათასობით გამძვინვარებული მხეცი! ეს არის არა ტარაკანი, არამედ უფსკრული, საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვა“ და წავიდა გუბერნია დასაწერად... ბუხარინი ამასთან დაკავშირებით წერს თეზისებს და აგზავნის მათ ცენტრალურ კომიტეტში, ამტკიცებს, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკამ ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა, რომ საბჭოთა ხელისუფლება აუცილებლად დაიღუპება, თუ ახლა არა, უკიდურეს შემთხვევაში — ერთი თვის შემდეგ. რიკოვი უერთდება ბუხარინის თეზისებს, თანაც უმატებს, რომ მას აქვს აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა ბუხარინთან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაიღუპება, მისი აზრით, არა ერთი თვის შემდეგ, არამედ ერთი თვისა და ორი დღის შემდეგ (საერთო ხარხარი), ტომსკი უერთდება ბუხარინსა და რიკოვს, მაგრამ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ მათ ჯერ შეძლეს გვერდი აევლოთ თეზისებისთვის, ესე იგი შეძლეს, გვერდი აევლოთ დოკუმენტებისთვის, რის გამოც შემდგომ მოუწევთ პასუხის გაცემა: „რამდენჯერ გეუბნებოდით — გააკეთეთ რაც გინდათ, ოღონდ ნუ დატოვებთ დოკუმენტებს, ნუ დატოვებთ კვალს“ (მთელი დარბაზის ჰომერული ხარხარი. ხანგრძლივი ტაში)“.

* * *

იუმორით ლაპარაკობს სტალინი ახლად გამომცხვარ ბიუროკრატებსა და მოლაყბეებზე პარტიის მომდევნო XVIII ყრილობის საანგარიშო ყრილობაზე 1934 წლის ზამთარში:

„მუშაკთა ერთი ტიპი — ესენი არიან ადამიანები ცნობილი დამსახურებითა და წარსულით, ადამიანები, რომლებიც გახდნენ დიდებულები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ... კანონები დაწერილია არა მათთვის, არამედ ტუტუცებისთვის... ახლა მუშაკთა მეორე ტიპის შესახებ. მხედველობაში მაქვს მოლაყბეთა ტიპი, მე ვიტყოდი, პატიოსანი მოლაყბეები (სიცილი)... რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმეს ორგანიზების უნარი. შარშან ველაპარაკებოდი ერთ ასეთ ამხანაგს, მეტად პატივსაცემ ამხანაგს, თუმცა გამოუსწორებელ მოლაყბეს, რომელსაც შეუძლია ლაყბობაში ჩაძიროს ნებისმიერი ცოცხალი საქმე. აი, ეს საუბარი.

მე. როგორ მიდის თქვენთან საქმე თესვასთან დაკავშირებით?

ის. თესვასთან დაკავშირებით, ამხანაგო სტალინ? ჩვენ მობილიზებულები ვართ.

მე. რა ხდება შემდეგ?

ის. ჩვენ საკითხი პირდაპირ, კატეგორიულად დავსვით.

მე. შემდეგ რა ხდება?

ის. ჩვენთან გარდატეხაა, ამხანაგო სტალინ, მალე გარდატეხა მოხდება.

მე. მაინც?

ის. ჩვენთან ძვრები შეინიშნება.

მე. და მაინც, როგორაა საკითხი თესვასთან დაკავშირებით?

ის. თესვასთან დაკავშირებით ჩვენთან, ამხანაგო სტალინ, ჯერჯერობით არაფერი გამოდის.

აი, მოლაყბის ფიზიონომია. მათ მოახდინეს მობილიზება, დასვეს საკითხი პირდაპირ, მათთან არის გარდატეხაც, ძვრებიც, საქმე კი ადგილიდან არ იძვრის!“

* * *

როდესაც იმავე მოხსენებაში საერთაშორისო ვითარებაზე ლაპარაკობდა, სტალინმა თავი მაინც ვერ შეიკავა ხუმრობისგან:

„ვისაც მშვიდობა უნდა და ცდილობს, მიაღწიოს საქმიან ურთიერთობას ჩვენთან, ის ყოველთვის მონახავს ჩვენგან მხარდაჭერას. ისინი კი, ვინც შეეცდება, თავს დაესხას ჩვენს ქვეყანას — მიიღებენ გამანადგურებელ პასუხს, რათა კვლავ აღარ გაუჩნდეთ სურვილი ჩაყონ თავიანთი დრუნჩი ჩვენს საბჭოთა ბოსტანში“.

* * *

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ მაინც ასეთი სიტყვები ბრეჟნევის ან იმავე გორბაჩოვის შესრულებით? ეს ხომ ხალხისგან გათიშვაა, როდესაც ქვეყნის სათავეში არსებული ადამიანები საუბრობენ ხალხისგან განსხვავებული ენით. ეს არის იდეისთვის არსის გამოცლა, როდესაც ქვეყნის ხელმძღვანელსაც კი არ შეუძლია ილაპარაკოს ისე, რომ გასაგები იყოს ყველაზე უკანასკნელი მეეზოვის ან მწველავისათვის. როდესაც ოფიციოზი ან უსულგულო ენა დევნის იმას, რასაც ლენინი „მასების ცოცხალ შემოქმედებას“ უწოდებდა...

სტალინი იყო კარგი ორატორი და შესანიშნავად გრძნობდა აუდიტორიას და ხშირად ცდილობდა ხუმრობით ან გასართობი ისტორიით განემუხტა ატმოსფერო. კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებული პლენუმი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა 1926 წლის 22 ნოემბრიდან 16 დეკემბრამდე, იყო საკმაოდ მოსაწყენი ღონისძიება. ამიტომ, როდესაც ტრიბუნაზე იყო დასკვნითი სიტყვით, სტალინი ცდილობდა აემაღლებინა დელეგატების განწყობილება:

„ციტირების ზინოვიევისებური მანერა მაგონებდა ერთ საკმაოდ სასაცილო „ისტორიას“, რომელიც სოციალ-დემოკრატებს გადახდათ თავს და ერთმა შვედმა სკანდალისტ-რევოლუციონერმა მიამბო სტოკჰოლმში. ეს ხდებოდა 1906 წელს, ჩვენი პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე. თავის საუბარში ეს შვედი ამხანაგი საკმაოდ სასაცილოდ წარმოაჩენდა ზოგიერთი სოციალ-დემოკრატის კირკიტა ტაქტიკას, როდესაც ახდენდა მარქსისა და ენგელსის ციტირებას, ჩვენ კი, ყრილობის დეტალები, როდესაც მას ვუსმენდით, სიცილით ვიგუდებოდით. აი ამ „ისტორიის“ შინაარსი. ამბავი ხდება ყირიმში ფლოტისა და ფეხოსანთა აჯანყების დროს.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121

ბადრი პატარკაციშვილმა სკოტლანდ-იარდს წინასწარ აცნობა, რომ მისი მკვლელობა იგეგმებოდა!

პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემამ BuzzFeed News-მა გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოკვლევა, რომლის ავტორები დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ცნობილი ადამიანების გარდაცვალება-დაღუპვის გარემოებებს ეხებიან. გამოკვლევის თანახმად, აშშ-ის სადაზვერვო ორგანოები 14 პიროვნების სიკვდილში რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურების მონაწილეობას ადასტურებენ.

გამოკვლევაში ნათქვამია, რომ მულტიმილიონერ სკოტ იანგისა და მისი პარტნიორების მკვლელობები ბრიტანულმა პოლიციამ ბოლომდე არ გამოიძია და ისე დახურა. მაგალითად, ბორის ბერეზოვსკის საქმე, ბადრი პატარკაციშვილის საქმე და ა.შ. **„ბრიტანულმა პოლიციამ დაასკვნა, რომ ბორის ბერეზოვსკიმ თავი მოიკლა და იგი არავის მოუკლავს. ასევე არ იქნა ბოლომდე გამოძიებული ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილი, რომელიც, ოფიციალური ცნობის მიხედვით, 2008 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა...**

ავტორები აღნიშნავენ, რომ ბორის ბერეზოვსკი ვლადიმერ პუტინს აკრიტიკებდა — არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც კრემლის წინააღმდეგ გამოდიოდა. კერძოდ, მან უკრაინაში 30 მილიონი დოლარი ჩადო „ნარინჯოვანი რევოლუციის“ მოსამზადებლად. ინგლისის ანტიტერორისტული უწყების თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, რომ ბორის ბერეზოვსკი არა მარტო უკრაინის, არამედ საქართველოსა და ბელორუსიის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ერეოდა.

2006 წელს ლონდონში რუსეთიდან გაქცეული ალექსანდრე ლიტვინენკო მოწამლეს. მას დიდ ბრიტანეთში ბორის ბერეზოვსკი და ბადრი პატარკაციშვილი მფარველობდნენ.

მილიონერი სკოტ იანგი შეძრწუნებული იყო ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობით. მას განსაკუთრებით აშინებდა და აეჭვებდა ის, რომ ოლიგარქთა წრეებში იყო პიროვნება, რომელიც, სავარაუდოდ, მკვლელის როლს შეასრულებდა. მოგვიანებით გაირკვა, ეს პიროვნება ანდრეი ლუგოვი იყო, რომელიც ადრე ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის კომპანიების უსაფრთხოების სამსახურში მუშაობდა. იგი შეგზავნილი პიროვნება აღმოჩნდა.

2007 წლის იანვარში ლონდონში იური გოლუბევი, „იუკოს“-ის თანადამფუძნებელი, თავის ბინაში მკვდარი იპოვეს — მოსკოვიდან მისი წამოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. სკოტლანდ-იარდმა გამოაცხადა, რომ მისი სიკვდილი ბუნებრივია და საეჭვო არაფერი არ არისო. მაგრამ უცნაურია, რატომ თქვა პირიქით მაშინ რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ — „არსებობს ეჭვები, რომ იგი მოკლესო“? აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთმა წყარომ აღნიშნა, რომ ამგვარი განცხადებები ერთ რამეს მიანიშნებს: მოსკოვი რუსეთიდან გაქცეულებს და დაუმორჩილებელ ოლიგარქებს აფრთხილებს — თუ კრემლს არ გაუგონებთ, სიცოცხლეს გამოესალმებითო.

2007 წლის დეკემბერში ბადრი პატარკაციშვილმა სკოტლანდ-იარდს აცნობა, რომ დაგეგმილია მისი მკვლელობა, საქართველოში პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. 2008 წლის 12 თებერვალს ბადრი პატარკაციშვილმა თავი ცუდად იგრძნო, წამოწვა საწოლზე, შემდეგ კი ნათესავებმა გარდაცვლილი ნახეს. როგორც აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლები ამბობენ, ბრიტანულმა სპეცსამსახურებმა საიდუმლოდ სთხოვეს ამერიკელ კოლეგებს ინფორმაცია, ჰქონდა თუ არა რუსეთთან რაიმე კავშირი იური გოლუბევისა და ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებას. **„თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ მათ აქვთ დოსიეები, სადაც დიდ ბრიტანეთში მომხდარი მკვლელობების შესახებ ინფორმაცია ინახება. ბადრი პატარკაციშვილის სიკვდილთან დაკავშირებით ეჭვები ძალიან ძლიერია,** — უთხრეს BuzzFeed News-ის ავტორებს აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსანმა თანამშრომლებმა“.

„BuzzFeed News“ **(აშშ)**

ფხენიანის მიერ გათავისუფლებული ამერიკელი სტუდენტი გარდაიცვალა

ჩრდილოეთ კორეის მიერ გათავისუფლებული ამერიკელი სტუდენტი ოტო ფრედერიკ ვომბიერი გარდაიცვალა. ვაშინგტონი მომხდარში ფხენიანს ადანაშაულებს. ვომბიერი ფხენიანში 2015 წლის 25 დეკემბერს ტურისტულ ჯგუფთან ერთად ჩავიდა. 2016 წლის პირველ იანვარს ის უცხოელი ტურისტებისთვის განკუთვნილ სასტუმროში გაკრული პოლიტიკური პლაკატის ჩამოხსნის გამო დააკავეს, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში დაადანაშაულეს და 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ფხენიანმა სტუდენტი შეერთებულ შტატებს გადასცა, თუმცა ის კომაში იმყოფებოდა. ფხენიანი ირწმუნება, რომ სტუდენტს ბოტულიზმი სჭირდა.

არიზონაში გაუსაძლისი სიცხეა

არიზონაში ჰაერის მაღალი ტემპერატურის გამო საჰაერო მიმოსვლა შეფერხდა. ფენიქსის აეროპორტში 40-მდე რეისი გადაიდო. ადგილობრივ ავიაკომპანიებში აცხადებენ, რომ მაღალმა ტემპერატურამ შესაძლოა, ძრავები გადაახუროს, რაც მგზავრებს შეუქმნის საფრთხეს. გაუსაძლისი სიცხის გამო დროებით დაიხურა ტუსონის ზოოპარკიც. ცხოველებს ვოლიერებში სპეციალური გამაგრილებელი სისტემები დაუმონტაჟეს.

თავდასხმა ამერიკულ სამხედრო ბაზაზე

თავდასხმა ამჯერად ფარვანის პროვინციაში ამერიკულ სამხედრო ბაზაზე განხორციელდა. შედეგად, 8 ავღანელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, რომლებიც ბაზის გარე პერიმეტრს იცავდნენ. არიან დაშავებულებიც. ბოლო 3 დღის განმავლობაში ეს ავღანეთში ამერიკულ ბაზებზე თავდასხმის მეორე შემთხვევაა.

ბრექსიტზე მოლაპარაკებები დაიწყო

ევროკავშირმა და ბრიტანეთმა ე. წ. ბრექსიტის მოლაპარაკების გეგმა შეადგინეს. მოლაპარაკების პროცესი გეგმის მიხედვით, გუშინ დაიწყო. პროცესი ორ ეტაპად წარიმართება. პირველ ეტაპზე მხარეები ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის პირობებს განიხილავენ. მეორე ეტაპი კი ევროკავშირსა და ბრიტანეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხს დაეთმობა.

გასაიდუმლოებული არქივები

კრემლის წმიდათაწმიდა ინკვიზიცია

1967 წ. 25 ივლისს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) თავმჯდომარემ იური ანდროპოვმა ხელი მოაწერა ბრძანებას (№0097, გრიფით „სრულიად საიდუმლო“) „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ამ ბრძანების არსი ის იყო, რომ სუკ-ის ცენტრალურ აპარატში და „მის ადგილობრივ ორგანოებში“ იქმნებოდა ახალი სტრუქტურა — **„მოწინააღმდეგის იდეოლოგიურ დივერსიასთან ბრძოლის“ — კონდრაზვერვის ქვეგანყოფილებები.**

ამ მოვლენას წინ უშუალოდ უძღოდა ანდროპოვის 1967 წ. 3 ივლისის სამსახურებრივი წერილი (№1631-ა) სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. წერილი ანდროპოვისებურად პირქუში, ოღონდ სიტყვაუხვია. თავმჯდომარე „სუკ-ში არსებულ მასალებზე“ დაყრდნობით იუწყება, რომ **„იმპერალისტური ბანაკის რეაქციული ძალები... მუდმივად აძლიერებენ ძალისხმევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.**

ანდროპოვი პოლიტბიუროს აშინებს იმით, რომ ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირში უცხოეთიდან დაბრუნდა 5,5 მილიონი საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის 1,8 მილიონამდე ყოფილი სამხედრო ტყვე. მერე რა? რა და ის, რომ მათი გარკვეული ნაწილი „ჰიტლერელებთან თანამშრომლობდა“ (მათ შორის, ვლასოველები), ზოგიერთები გადაიბირეს ამერიკელებმა და ინგლისელებმა.

ანდროპოვი იხსენებს 1953 წლის შემდეგ ბანაკებიდან გათავისუფლებულთ. მათ შორის უამრავია ამნისტირებული, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დამნაშავენი — **„გერმანელი დამსჯელელები, ბანდიტები, ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ ჯგუფთა წევრები და სხვ. და ზოგიერთი მათგანი ხელახლა დაადგა ანტისაბჭოთა გზას. ამასთან, „ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის“ გავლენის ქვეშ მოექცნენ „პოლიტიკურად უმწიფარი საბჭოთა მოქალაქეები, განსაკუთრებით ინტელიგენციიდან და ახალგაზრდობიდან, რომელთა განწყობითაც სარგებლობენ „არა მარტო ოდითგან ანტისაბჭოთა ელემენტები, არამედ აგრეთვე პოლიტიკური მოლაყბენი და დემაგოგები“.** ერთი სიტყვით, ირგვლივ ვლასოვები, ინგლის-ამერიკის მზვერავები, დამსჯელები, სისხლის სამართლის ელემენტები, ბანდიტები, ინტელიგენტები, ახალგაზრდები და სხვა ბანდდამხმარეები არიან, „იდეოლოგიურ დივერსიასთან და საბჭოთა ადამიანებში მის შედეგებთან ბრძოლის ხაზი შესუსტებულია. ამას აუცილებლად რაღაც უნდა მოვუხერხოთო.

ბრძენმა ანდროპოვმა იცის, რაც უნდა მოუხერხონ: **„სუკ-თან შეიქმნას „დამოუკიდებელი სამმართველო (მეხუთე), რომლის ამოცანაც იქნება კონტრდაზვერვითი მუშაობის ორგანიზება ქვეყნის ტერიტორიაზე იდეოლოგიურ დივერსიასთან ბრძოლის საქმეში“.** წინადადებას იძლევა ახალ ქვეგანყოფილებას დაეკისროს არაკონკრეტული-არამკაფიო, მაგრამ მუშაობის თითქმის ყველაფრისმომცველი ორგანიზაცია: **გამოავლინოს და შეისწავლოს პროცესები, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს მოწინააღმდეგემ იდეოლოგიური დივერსიისთვის, გამოავლინოს და აღკვეთოს ანტისაბჭოთა, ნაციონალისტური და საეკლესიო-სექტანტური ელემენტების მტრული მოქმედება, აგრეთვე, „კონტრდაზვერვითი მუშაობის ორგანიზაცია სსრ კავშირში მოსწავლე უცხოელ სტუდენტთა შორის“...** მოკლედ ლაპარაკი იყო ტოტალური კონტროლის სისტემის შექმნაზე არა იმდენად წმინდა იდეოლოგიურ სფეროში, არამედ პრაქტიკულად მთელ სულიერ სფეროში.

იმავდროულად იური ვლადიმიროვიჩი წყვეტს ლუბიანკის აპარატის მორიგი გაძლიერების საკითხსაც და წინადადებას იძლევა: **1967 წ. მანძილზე იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც აქამდე არ იყო, შეიქმნას სუკ-ის 200 აპარატი“. ბუნებრივია, „ეს მოითხოვს სუკ-ის ორგანოების გაზრდას 2250 ადამიანით, აგრეთვე დამატებით 250 ავტომობილის შემომატებას“...**



1967 წ. 17 ივლისს სკკპ ცკ-ის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება (№1147/90) **„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სუკ-ში მოწინააღმდეგის იდეოლოგიურ დივერსიებთან საბრძოლველად კონტრდაზვერვითი მუშაობისთვის, დამოუკიდებელი (მეხუთე) სამმართველოს შექმნის შესახებ“.**

დადგენილების მეორე მუხლი გვაუწყებდა: **„1967 წლის განმავლობაში არსებულის დამატებით შეიქმნას სუკ-ის 200 აპარატი ქალაქსა და რაიონებში“,** იმავე დღეს შესაბამისი დადგენილება მიიღო მინისტრთა საბჭომაც.

იმ დროისთვის სუკ-ის მეხუთე საამართველოს სტრუქტურაში ექვსი განყოფილება იყო. „იდეოლოგიური კონტრდაზვერვა“ სულაც არ დაბადებულა ცარიელ ადგილზე. ეს იყო ორგანიზაციული გაფორმება უკვე არსებული ცალკე ქვეგანყოფილებისა, სამაგიეროდ, სტატუსის მნიშვნელოვანი ამაღლებით — მოცულობის, ფუნქციების, სტრუქტურისა და შტატის გაბერვის ხარჯზე. სიმართლეს თუ ვიტყვით, ჩეკისტმა ფუნქციონერებმა თავისთვის სამუშაო მოიფიქრეს.

მეხუთე სამმართველო ისე იზრდებოდა, როგორც ფერდობზე დაგორებუ-

შინაარსიანი კინო უკეთესი ყოფილა...



ბრიტანელ მეცნიერთა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მოწყენილობა „ნაგავი საკვების“ მიღებას გვაიძულებს. აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც მოსაწყენ კინოფილმებს უყურებენ, გაცილებით მეტ მავნე საკვებს მიირთმევენ.

შინაარსიანი და საყურებელი ფილმების დემონსტრირებისას კი ისინი ან საერთოდ არაფერს ჭამენ, ანდა ხილს ეტანებიან.

ცვილით „შემოსილი“ ვაშლი

კარგი მოსავლის მისაღებად ხილსა და ბოსტნეულს აზოტოვანი სასუქებით კვებავენ, რომლებსაც ნიტრატებს ვუწოდებთ. იმის გამო, რომ ზოგიერთი ხილი (მაგალითად, ბანანი) ჯერ კიდევ მოუწეველი მოაქვთ, ადგილზე ჩამოტანის შემდეგ მას ეთილენის შემცველი გზებით ამუშავებენ. ეს დამწიფების პროცესის დასაჩქარებლად კეთდება.

გარდა ამისა, ხილისა და კენკრის ჩვენამდე ჩამოსატანათ, ყუთებში გოგირდოვან გაზს უშვებენ, რომელიც ხელს უშლის სოკოსა და ობის წარმოშობას, რითაც პროდუქციას გაფუჭებისგან იცავს.

ამიტომ საჭიროა შემოტანილი ბოსტნეულისა და ხილის საგულდაგულოდ გარეცხვა, ბავშვებისთვის განკუთვნილი სურსათი კი სულაც საპნით უნდა გაირეცხოს, ხოლო თუკი ვაშლს ცვილის (პარაფინის) გემო აქვს, კანი უნდა მოაჭრათ და ხელები გულდასმით დაიბანოთ. კენკრა კი რამდენიმე წუთის განმავლობაში გამდინარე წყლით უნდა გარეცხოთ.

ეროვნული სტრიპტიზის თავისებურებანი

სტრიპტიზი, რომელსაც ფესვები ძველი სამყაროს ანტიკურ ხანაში უდევს, დიდი ხანია, აღარაა „აკრძალული ხილი“ და მას როგორც ქალები, ისე მამაკაცები ასრულებენ, თანაც მას ხშირად სრულიად მოულოდნელი ეფექტები ახლავს. მაგალითად, ტაილანდში სტრიპტიზიორი ქალები და მამაკაცები არა მარტო სამოსელს იხდიან, არამედ მაყურებელს სხვადასხვა უცნაური ელემენტითაც ართობენ: ცეკვის დასასრულ მოცეკვავეებს შეუძლიათ საკუთარი სხეულიდან... ყვავილების თაიგული, ანდა, სულაც, ცოცხალი გველი ამოიღონ!

გერმანიაში კი ეროტიკულ დაწესებულებაში კლიენტებს შიშველი სხეულების ხილვა იმდენად ამოუვიდათ ყელში, რომ ბოლო დროს... ანტისტრიპტიზიც კი წარმოიშვა: ამ დროს ასაკოვანი დედიშობილა ქალი მაყურებლების წინაშე გამოდის, რომლებიც მას ფულს... საცვლებისა და სამოსელის ჩაცმაში უხდიან!

ავსტრალიის ძვირიან ვარიეტებში კი გავრცელებულია „არასრული“ სტრიპტიზი, სადაც ქალიშვილები საცვლებს არანაირი გასამრჯელოს ფასად არ გაიხდიან, კლიენტებს კი დარბაზში უჰალსტუხოდ არ შეუშვებენ.

როგორ შექმნეს „იდეოლოგიური კონტრდაზვერვა“ – სუკ-ის მეხუთე სამმართველო

ლი თოვლის გუნდა. 1969 წელს, ბრეჟნევზე თავდასხმის შემდეგ, დაემატა ახალი განყოფილება — მეშვიდე, რომელსაც **უნდა გამოევლინებინა ტერორისტული მუქარის შემცველი წერილების ავტორები.**

1973 წელს შეიქმნა მერვე განყოფილება — **„სიონიზმთა ბრძოლისთვის“.** 1974 წელს გამოჩნდა მე-9 განყოფილება, **რომელიც ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს „პატრონობდა“,** მე-2 განყოფილება კი ორად გაყვეს. მეორე განყოფილება უკვე **უკრაინულ და ბალტიისპირულ საზღვარგარეთულ ცენტრებს „განკარგავდა“,** ხოლო ხელახლა შექმნილი მე-10 განყოფილება — **დანარჩენ ემიგრანტულ ორგანიზაციებს,** 1977 წელს დაწესდა მე-11 განყოფილება **მოსკოვის ოლიმპიადის უზრუნველყოფისთვის,** ოღონდ ოლიმპიადის დამთავრების შემდეგაც არ გაუქმებულა, **„ანდეს“ კონტროლი მთელ სპორტზე, იმავდროულად — მედიცინასა და მეცნიერებაზე.**

1970 წლის ბოლოს გამოჩნდა მე-12 ჯგუფი განყოფილების უფლებით (მას დაევალა მე-5 სამმართველოს მუშაობის კოორდინაცია სოციალისტური ქვეყნების უშიშროების ორგანოებთან), აგრეთვე მე-13 (არაფორმალური **ახალგაზრდული მოძრაობის კურატორობა)** და მე-14 **(ჩეკისტური კონტროლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე)** განყოფილებები... საბოლოოდ, 1983 წელს გამოჩნდა მე-15 განყოფილება, რომელსაც სპორტული საზოგადოება „დინამო“ კვებავდა. 1989 წელს სსრკ სუკ-ის მე-5 სამმართველო „ზ“ სამმართველოდ გარდაიქმნა — **საბჭოთა კონსტიტუციური წყაროს დაცვა დაევალა.** კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ აბრის შეცვლა იყო. არაფერი საქებარი მე-5 სამმართველოს არ გაუკეთებია: ეს წმინდა წყლის პოლიტიკური და იდეური ძიების ორგანო იყო, რომელიც გამოირჩეოდა საერთოდ ყოველგვარი სხვაგვარად მოაზროვნეობის ჩასახშობად, მაგრამ ამან სკკპ და საბჭოთა წყობა ვერ გადაარჩინა და ვერც საბჭოთა კავშირი იხსნა დანგრევისაგან.

დასკვნა: ილუზიაა იმის გაფიქრება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის პარალელურად „ჰუმანურდებოდა“ მისი ავი ცერბერი — „სუკ“-ი. როგორც ვხედავთ, პირიქით იყო.

სუკ-ი სულ უფრო ავდებოდა, ყველაფერში ჰყოფდა ცხვირს, დევნიდა და ასამართლებდა სხვაგვარად მოაზროვნეებს, ოღონდ ეგ იყო — სიკვდილით ვეღარ სჯიდა მათ. სუკ-მა იცოდა, თუ დაიღუპებოდა სსრ კავშირი, დაიღუპებოდა მისი ეს ბოროტი გენიაც.

ასეც მოხდა.

მოამზადა
სანდრო ალექსიძემ

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოსსაავტომობილო გზების დეპარტამენტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია - გრიგოლეთის მონაკვეთის (კმ30+000-კმ42+000) (ლოტი 3) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიგვზიანში მდებარე,მოქალაქე ლამარა ხილაძის (პ/ნ 61010005733) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები: ს/კ 27.14.44.033 სრულად - 1500 კვ.მ. მასზე არსებული შენობა/ნაგებობები და ნარგავები, ს/კ 27.14.44.120 სრულად - 1502 კვ.მ. მასზე არსებული შენობა/ნაგებობები და ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე ლამარა ხილაძესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონებების (ს/კ 27.14.44.033 და ს/კ 27.14.44.120) მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპრორიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 14 ივნისის 1-1/245 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება 1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიგვზიანში მდებარე, მესაკუთრის ლამარა ხილაძის (პ/ნ 61010005733), მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.14.44.033) სრულად - 1500კვ.მ-ზე შენობა-ნაგებობასა და ნარგავებზე. 2.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნიგვზიანში მდებარე, მესაკუთრის ლამარა ხილაძის (პ/ნ 61010005733), მიწის ნაკვეთზე (ს/კ 27.14.44.120) სრულად - 1502კვ.მ-ზე შენობა-ნაგებობასა და ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე 2017 წლის 16 ივნისს.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მესაკუთრის ლამარა ხილაძის (პ/ნ 61010005733) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე, (მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნიგვზიანი - ს/კ 27.14.44.033, სრულად 1500 კვ.მ. შენობა-ნაგებობასა და ნარგავებზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი,სოფელი ნიგვზიანი - ს/კ 27.14.44.120, სრულად 1502 კვ.მ. შენობა-ნაგებობასა და ნარგავებზე) ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების — საქართველოსსაავტომობილო გზების დეპარტამენტის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის სამტრედია - გრიგოლეთის მონაკვეთის (კმ11+500-კმ30+000) (ლოტი 2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩოლობარგში მდებარე, მოქალაქე მარადა ჩიჩიანის (პ/ნ 01020001913) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.04.47.001) ნაკვეთის სრული ფართი - 1701 კვ.მ. საექსპროპრიაციო ფართი - 535 კვ.მ. მასზე არსებული შენობა/ნაგებობები და ნარგავები.

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქე მარადა ჩიჩიანთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება უძრავი ქონების (ს/კ 27.04.47.001) - ნაწილის 535 კვ.მ-ის მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპრორიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 14 ივნისის 1-1/245 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩოლობარგში მდებარე, მესაკუთრის მარიდა ჩიჩიანის (პ/ნ 01020001913), მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.04.47.001) მთლიანი ფართობის (1701 კვ.მ) ნაწილზე - 535 კვ.მ-ზე, შენობა-ნაგებობასა და ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე 2017 წლის 16 ივნისს.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მესაკუთრის მარადა ჩიჩიანის (პ/ნ 01020001913),საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩოლობარგში - ს/კ 27.04.47.001, მთლიანი ფართობის 1701 კვ.მ ნაწილზე - 535 კვ.მ- ზე, შენობა-ნაგებობასა და მრავალწლიან ნარგავებზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

◎ ჭადრაკი

ნავსი გავჯეხეთ

ხანტი-მანსიისკში მიმდინარე მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 ტურში საქართველოს მანდილოსანთა ნაკრებმა ზედიზედ ორჯერ ფრედ დამთავრებული შეხვედრების შემდეგ პირველი გამარჯვება იზეიმა. ჩვენებმა ასპარეზობის აუტსაიდერი ეგვიპტის გუნდი დაამარცხეს — 4:0 (შრიკ ვაფა — ლელა ჯავახიშვილი 0:1, ბელა ხოტენაშვილი — მოატაზ აიაჰი 1:0, ემან ელენსერი-ნინო ბაციაშვილი 0:1, სალომე მელია — ეჰაბ თასნიმი 1:0). რუსეთისა და განთესვით მე-9 ადგილზე მყოფი აზერბაიჯანის გუნდები დაზავდნენ — 2:2 და მასპინძლებმა პირველი ქულა დაკარგეს. ინდოეთი — უკრაინა 1.5:2.5, პოლონეთი — აშშ 2:2, ჩინეთი — ვიეტნამი 2.5:1.5.

სამი ტურის შემდეგ: რუსეთი (8), უკრაინა (7) — 5-5, საქართველო (8), პოლონეთი (7.5) — 4-4, აზერბაიჯანი (6.5), ინდოეთი (6), ჩინეთი (5.5) — 3-3, ვიეტნამი (6.5) — 2, აშშ (5) — 1, ეგვიპტე (0) — 0 ქულა.

ვაჟთა მე-3 ტურის შეხვედრები ასე დასრულდა: ინდოეთი-ბელარუსი 2.5:1.5, აშშ — ჩინეთი 2:2, ეგვიპტე — პოლონეთი 1:3, თურქეთი — ნორვეგია 2.5:1.5, უკრაინა — რუსეთი 1.5:2.5.

სამი ტურის შემდეგ: პოლონეთი (8) — 6, ჩინეთი (8), რუსეთი (8) — 5-5, თურქეთი (6.5) — 4, აშშ (6) — 3, ინდოეთი (5.5), უკრაინა (5.5), ნორვეგია (5,5) — 2-2, ბელარუსი (4) — 1, ეგვიპტე (3) — 0 ქულა.

ლექსო ცინცაძე

თაობის სახელით

ჩერნოგორიაში დამთავრდა ევროპის სასკოლო ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის გოგონები და ვაჟები მონაწილეობდნენ. 15-წლამდელებში ძალებს ცდიდა თბილისელი ნიკოლოზ პეტრიაშვილი. მან ექვსი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაასრულა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, საბოლოოდ ცხრა შესაძლებლობიდან 6.5 ქულა მოაგროვა და ჩემპიონობა მოიპოვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე-მესამე ადგილები სახილ მეჰრალიევმა (აზერბაიჯანი) და არტიომ ტრუბჩანინოვმა (რუსეთი) გაინაწილეს. ამავე ასაკში შოთა ხოდაშნელმა 6 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა.

გივი გაგუა

◎ ევროტურნირები

იწყებენ ოთხნი, აგრძელებენ - ?

მართალია, ამ დღეებში საფეხბურთო სამყაროს ყურადღება რუსეთისკენაა მიპყრობილი, სადაც კონფედერაციათა თასი თამაშდება, მაგრამ არც კარსმომდგარი საკლუბო სეზონის დავიწყება ეგების, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც შვეიცარიაში, უეფას შტაბ-ბინაში გამართული კენჭისყრის შემდეგ ევროტურნირებში მონაწილე ქართული კლუბების მეტოქეთა ვინაობა გაირკვა.

ჩემპიონთა ლიგა.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

11-12 და 18-19 ივლისი

„ყარაბაღი“ (აგდამი, აზერბაიჯანი) — „სამტრედია“

მეტოქე. დაარსდა 1951 წელს. **მწვრთნელი:** ყურბან ყურბანოვი. **სტადიონი:** აზერსუნ არენა (5 800 მაყურებელი). **ტიტულები:** ქვეყნის 5-გზის ჩემპიონი, 6-გზის თასისა და ერთხელ სუპერთასის მფლობელი. ერთხელაც ევროპალიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა.

ფინანსურად საკმაოდ ღონიერ კლუბს, ბუნებრივია, ეროვნული ნაკრების წევრთა გარდა, კვალიფიციური ლეგიონერებიც აძლიერებენ: ესპანელები მიჩელი და კინტანა, ბოსნიელი შეჰიჩი, ალბანელი აგოლი და სამხრეთაფრიკელი ნდლოვუ. ჩვენს თანამემამულეთაგან სეპარატისტულ რეგიონში ძალები გიორგი ადამიას, ჯაბა დვალსა და ნიკოლოზ გელაშვილს მოუსინჯავთ. სავარაუდოდ, კავკასიურ დერბიმდე ყურბანოვის გუნდი კიდევ უფრო შთამბეჭდავ კონტინგენტს დაიმატებს.

ევროპა ლიგა

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

29 ივნისი და 6 ივლისი

„იაგელონია“ (ბელოსტოკი, პოლონეთი) — „ბათუმი“

მეტოქე: დაარსდა 1920 წელს. **მწვრთნელი:** ირენეუშ მამროტი. **სტადიონი:** ბელოსტოკ სიტი (22 372 მაყურებელი). **მიღწევები:** ქვეყნის თასისა და სუპერთასის მფლობელი (2010 წელი), პოლონეთის ვიცეჩემპიონი და ბრინჯაოს პრიზიორი (მესამე ადგილისთვის განკუთვნილი მედლები გიორგი ფოფხაძესა და ნიკა ძალამიძეს გადაეცათ).

ამჟამად „იაგას“ ღირსებას ლუკა გუგეშაშვილი და ლუკა ასათიანი იცავენ. გაეცანით დანარჩენ ლეგიონერთა ნუსხასაც: ბრაზილიელი გუტი, შოტლანდიელი გორდონი, ხორვატი რუნიე, ირლანდიელი შერიდანი, სლოვაკი კელემანი, ესტონელი ვასილიევი, აგრეთვე უკრაინელები — რომანჩუკი და კომჩენოვსკი.

პოლონური ბარიერის დაძლევის შემთხვევაში ზღვისპირელები მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენს ძველ „მოკეთეს“ — აზერბაიჯანულ „გაბალას“ გაუწევენ მეტოქეობას, რომელმაც განვლილ სეზონებში თბილისის „დინამოსა“ და „სამტრედიას“ აუნთო წითელი.

„ტრენჩინი“ (სლოვაკეთი) — „ტორპედო“ (ქუთისი)

მეტოქე. დაარსდა 1925 წელს. **მწვრთნელი:** მარტინ საველა. **სტადიონი:** სიჰოტი (3500 მაყურებელი). **ტიტულები:** სლოვაკეთის ორგზის ჩემპიონი და თასის სამგზის მფლობელი.

ბელგიური „გენტის“ საკუთრება, გორის „დილასა“ და „ზესტაფონის“ ყოფილი ფეხბურთელი, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი, 20 წლის გიორგი ბერიძე სლოვაკური კლუბის ერთერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. მასთან ერთად გუნდში თამაშობენ ჰოლანდიელი, ბრაზილიელი, ხორვატი, ბოსნიელი, ნიგერიელი და ტრინიდადელი ლეგიონერები.

„ტრენჩინთან“ ორრაუნდიან დუელში წარმატების შემთხვევაში რიონისპირელთა შემდეგი მეტოქე ებრაული „ბნეი იეჰუდა“ იქნება.

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „ალტახი“ (ავსტრია)

მეტოქე. დაარსდა 1929 წელს. **მწვრთნელი:** კლაუს შმიდტი. **სტადიონი:** შნაბელჰორცი (8500 მაყურებელი).

მოკრძალებული პროვინციული კლუბის ლეგენდად 36 წლის ბომბარდირი ჰანს აიგნერი მიიჩნევა, რომელმაც 2012 წლიდან მოყოლებული 117 მატჩში 62 გოლი გაიტანა.

უბერებელ ვეტერანს მხარს ლეგიონერთა კვარტეტი უმშვენებს ბრაზილიელი ლუკას გალვაოს, შვეიცარიელი გაბრიელ ლუხინგერის, აგრეთვე კამერუნელების — მუმი ნგამალესა და ლუის მაჰოპის შემადგენლობით.

დავძენთ, რომ ავსტრიელთა წინააღმდეგობის გადალახვის შემთხვევაში „ჩიხურას“ შემდეგი მეტოქე ბელარუსის ქალაქ ბრესტის „დინამო“ იქნება.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

მოთხილამურე ვანესა მეი

ჯიუ-ჯილაგით ტაილანდელ-სინგაპურელი, სულით და გულით კი ბრიტანელი მევიოლინე ვანესა მეი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მუსიკოსია მთელს მსოფლიოში და მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს გასდის ყავლი, ვანესა ძველებურად მოთხოვნადი ხელოვანია და მის კონცერტებზე კვლავინდებურად ანშლაგები.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ვანესა სპორტით, კერძოდ კი ზამთრის სახეობებითაა გატაცებული და მისთვის თხილამურებითა თუ ციგურებით სრიალი ჩვეულებრივი ამბავია. უფრო მეტიც — იყო დრო, ვანესა მოთხილამურეობას სერიოზულად აპირებდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვიოლინომ გადასძალა. ისე, 2014 წელს მაინც სცადა ოცნების ასრულება და ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ტაილანდის სახელით გამოვიდა, თუმცა, ეს ამბავი სკანდალით დასრულდა — მიიჩნიეს, რომ ოლიმპიური ლიცენზია კორუფციული გარიგების შედეგად ჰქონდა მოპოვებული და დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს. მოგვიანებით მისი საქმის ძიება საკმარისი სამხილების არქონის გამო შეწყდა, ისევე, როგორც სპორტულ კარიერაზე ვანესას ფიქრი, მაგრამ, როდესაც ზამთარი დგება, ქალბატონი მეი კვლავინდებურად ჩაალაგებს ხოლმე თავის სპორტულ ავლადიდებას მანქანაში და ალპებთან მდებარე სხვადასხვა ფეშენებელურ სამთოსათხილამურო კურორტებზე მიდის, სადაც გაიკეთებს სპეციალურ სათვალეს და მერე კაცი ვერ მიხვდება, ვანესა მეია თუ გაღმაუბნელი ნათია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ძველა გზა... კუჭზე გადის

რუსული სამზარეულო? არა, მოსკოველები ქართულ კერძებს ამჯობინებენ

გავლენიანი ამერიკული სააგენტოს „The Associated Press“-ის მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება რუსეთში ფიფას ეგიდით დაწყებულ პრესტიჟულ საფეხბურთო ტურნირს, რომელიც კონფედერაციათა თასის სახელითაა ცნობილი. ტურნირი 2 ივლისამდე გასტანს და მასში 8 ქვეყნის ეროვნული ნაკრები გუნდი მონაწილეობს.;

რა შუაშია საქართველო? საქმე ისაა, რომ ტურნირის დროს ფეხბურთელები და მათი გულშემატკივრები ქართული სამზარეულოს კერძებით იქნებიან უზრუნველყოფილი.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის რეზიუმეს:

„საქართველო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, კავკასიის რეგიონში მდებარეობს, ოთხი მილიონი მცხოვრებით. იგი ცნობილია ტრადიციულად უხვი და გემრიელი კერძებით, ღვინით, რითაც რუსების გული მოინადირა. ქართული ტრადიციული ხაჭაპური და ხინკალი რუსეთში დიდი ხანია ფავორიტია. იგივე შეიძლება ითქვას ქართულ ღვინოზეც“ — აღნიშნავს სტატიის ავტორი, რომელიც ესაუბრება **მირზა ორმოცაძეს,** მოსკოვის ცენტრალურ გამზირზე ახლახანს გახსნილი რესტორნის შეფ-მზარეულს. „კერძების მოსამზადებლად ჩვენ ყველაფერი საქართველოდან მოგვაქვს“, — ამბობს იგი.

ქართული რესტორნები რუსეთში ყველგანაა და, რასაკვირველია, იმ ოთხ ქალაქშიც, სადაც კონფედერაციათა თასის ტურნირი ტარდება: მოსკოვთან ერთად სანკტპეტერბურგში, ყაზანსა და სოჭში, მაგრამ იქ ვერ ნახავთ რუსულ ტრადიციულ საჭმელებს — სუპებს და რაგუს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან, რუსული სამზარეულო მოულოდნელად დიდი პრობლემის წინაშე დადგა — მას უცხოელი კონკურენტები გამოუჩნდნენ. თავიდანვე ჩანდა, რომ ეს წაგებული ბრძოლა იყო. რუსულ ბაზარზე სწრაფად ვრცელდებოდა პიცა, შაურმა, სუში და სხვა ეგზოტიკური კერძები.

დღეს რუსულ კერძებს ძირითადად სასადილოებსა და კაფეებში თუ შეხვდებით, სადაც ფასდაკლებით მოგემსახურებიან. საზოგადოებრივი კვების ასეთი ობიექტები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში არსებობდა და, სურსათის დეფიციტის პირობებში მოსახლეობა იქ იკვებებოდა. რაც შეეხება მაღალი კლასის რესტორნებს, რუსული ეროვნული კერძები იქ მხოლოდ ექსპერიმენტის სახით აქვთ.

ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის რთული, წინააღმდეგობრივი ისტორია ეროვნულ საჭმელებზეც აისახა. ბევრს ჰგონია, რომ ბორშჩი რუსული კერძია, მაგრამ ის უკრაინული წარმოშობისაა. რუსებს ძალიან უყვართ ბრინჯის ფლავი ქიშმიშით, მაგრამ ეს საჭმელი შუა აზიიდან შევიდა რუსეთში.

რაც შეეხება ქართველ მზარეულებს, ისინი საკმაოდ დახელოვნებულნი არიან და მათ მიერ შედგენილი მენიუ მსოფლიოს ყველანაირ კერძებს მოიცავს. როგორც მირზა ორმოცაძე ამბობს, მისი ახლობლები რესტორნებს პოლონეთშიც ხსნიან, ნიუ-იორკელებს კი გემრიელი ხაჭაპურით იზიდავენ.

ჯეიმს ოლიგვორტი

„The Associated Press“ (აშშ)

„ბ“ ჯგუფი. I ტური. გერმანია - ავსტრალია 3:2.

დიღმის ჭალები და აბანოთუბანი

მტკვარი სარეკრეაციო ფუნქციას დაიბრუნებს

დედაქალაქის მესვეურები უკვე მერამდენედ გვამცნობენ, რომ თბილისმა მდინარე მტკვარი რეკრეაციული ფუნქციით უნდა დატვირთოს. ამ მხრივ არც დავით ნარმანიაა გამონაკლისი. იგი აცხადებს, რომ ევროპის ქალაქებში მდინარის რეკრეაციული ფუნქციით გამოყენების არაერთი წარმატებული მაგალითია, რომელიც თბილისმაც უნდა გაითვალისწინოს მტკვართან მიმართებით.

ნარმანია იმასაც იხსენებს, რომ გერმანიაში ვიზიტისას უცხოელმა პარტნიორებმა საქართველოს დელეგაციის წევრებს მიუნხენში განხორციელებული მსგავსი პროექტი დაათვალიერებინეს. ამის შემხედვარე თბილისის მიწათსარგებლობის გენგეგმის ჯგუფმა აბანოთუბნის ერთი ნაწილის გახსნის იდეა წამოაყენა, რაც მოქალაქეებს მდინარის სანაპიროსთან უფრო ახლოს მისვლისა და განტვირთვის საშუალებას მისცემს. მეორე მხრივ, საუბარია დიღმის ჭალების ტერიტორიაზეც, რომელიც სამომავლო განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ადგილია.

დავით ნარმანიას არც იმის თქმა დავიწყებია, რომ მტკვარი საბჭოთა მმართველობისას და მის შემდეგაც არ გაწმენდილა, მაგრამ მისი მერობის პერიოდში ამ მდინარის გაწმენდის მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა.

შესაძლებელია თუ არა აბანოთუბნის ერთი ნაწილის გახსნა სარეკრეაციო მიზნით და, ასევე, დიღმის ჭალების ამ დანიშნულებით გამოყენება?

არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი აცხადებს, რომ აბანოთუბნის ზონაში, ანუ ორთაჭალის აქეთ მტკვრის სარეკრეაციო მიზნით გამოყენება არარეალურია. რაც შეეხება დიღმის ჭალებს, ეს იდეალური ადგილია და ღმერთმა მოგვცა საშუალება, რომ ზაჰესის მოსახვევის შემდეგ, თითქმის დიდუბის ხიდამდე, ტერიტორია სარეკრეაციოდ გამოვიყენოთ.

გარდა ამისა, გვაქვს შესანიშნავი სარეკრეაციო მონაკვეთი ორთაჭალასა და სოღანლუღს შორის. ასევე, მდინარის ნაწილობრივი კი არა, მთლიანი გახსნით სარეკრეაციო ზონად უნდა გამოყენებულიყო ვერეს ხეობა, ვაკე-საბურთალოს გზიდან დაწყებული, ვიდრე გმირთა მოედნამდე. ეს ნიშნავს, რომ გვირაბში კი არ უნდა მოეთავსებინათ წყალი, არამედ გაეხსნათ და გზა სხვანაირად გაეყვანათ. ფაქტობრივად, ეს ქალაქის შუაგულში მდინარეებთან მიბმული შესანიშნავი სარეკრეაციო ზონა იქნებოდა.

გიგა ბათიაშვილის აზრით, სარეკრეაციო მიზნისთვის შესაძლებელია, ასევე, მშრალი ხევების გამოყენება, რომლებსაც განსაკუთრებულად უნდა მოვუაროთ, რადგან ხევები მშრალია გვალვის პერიოდში, ხოლო დიდი წვიმებისას ისინი, რა თქმა უნდა, წყლით იტვირთება და შესაბამისი უარყოფითი შედეგებიც მოჰყვება. არქიტექტორი იდეალურ, უზარმაზარ სარეკრეაციო ზონასაც გამოარჩევს თბილისის ზღვის გარშემო, რომელიც, ასევე, მოსავლელი და წესრიგში მოსაყვანია.

„აბანოთუბანში კი ამის გაკეთება არარეალურია. აქ უვიწროესი კალაპოტია, მტკვრის ყველაზე ვიწრო კალაპოტი მანდ არის. რანაირად აპირებენ ამის გაკეთებას, არ ვიცი. ეს წარმოუდგენელია თუნდაც იმიტომ, რომ მტკვარი იმ ადგილებში გუბდება. მოგეხსენებათ, ორთაჭალჰესი მუშაობს და ყოველთვის სილა გროვდება იმ ადგილებში. წელიწადში ორჯერ უშვებენ წყალს, რომ ეს სილა და ლამი წაიღოს, მაგრამ მაინც ცოტა რაოდენობით მიაქვს, დანარჩენი სილა ისევ რჩება და წყალთან ვერ მიხვალ. თავის დროზე, საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, როცა პირველი სანაპიროები ააშენეს, ამ ადგილებში ჩასასვლელი კიბეებიც მოაწყეს იმ იმედით, რომ მტკვართან უშუალოდ მისვლა შესძლებოდათ, მაგრამ მტკვარი სხვანაირი მდინარეა, მანდ ქალაქის ფარგლებში ვერ მიხვალ, ეს გამორიცხულია. საინტერესო ადგილია, ასევე, ე.წ. მადათოვის კუნძულის ზონაში, სადაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე მტკვრის განშტოება მიედინებოდა, თვითონ კუნძული სარეკრეაციო მონაკვეთია. მართალია, ეს ყოფილი კუნძულია და ახლა მეჩეჩიც აღარ არსებობს, რადგან მშრალმა ხიდმა თავის ქვეშ მდინარის ნაცვლად გზა გაატარა, მაგრამ ეს შესანიშნავი გამწვანებული მონაკვეთია. გამოიყენონ ეს ადგილი, მტკვართან მისვლა იქ შეიძლება“, — აღნიშნა გიგა ბათიაშვილმა.



რაც შეეხება მტკვრის დაბინძურებას, რაც სარეკრეაციო მიზნებისთვის მის გამოყენას ხელს შეუშლის, არქიტექტორმა განმარტა, რომ მტკვრის დაბინძურება ჩვენს ხელშია. თავის დროზე შვიდი პუნქტი იყო გაშენებული მტკვარზე, რომელიც ამ მდინარის სიბინძურეს აკონტროლებდა. შვიდივე პუნქტი და ლაბორატორიები უნდა აამუშაონ. თუმცა გიგა ბათიაშვილი წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, რომ ქალაქის ფარგლებში ძირითადი კანალიზაცია მოცილებულია მტკვარს და ადრე რომ ჩადიოდა, ახლა აღარ ჩადის. ამავე დროს, წარმოებებიც აღარ არის, რომელთა გამომუშავებული წყლები მტკვარში ჩადიოდა და ღებავდა ამ მდინარეს. ახლა საჭიროა, ხელოვნურად არ მოხდეს მტკვრის დაბინძურება.

„მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე რუსუდან სიმონიძე ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ რეკრეაციული ფუნქციით მტკვრის დატვირთვა არაჩვეულებრივი იდეაა და მიუნხენი საუკეთესოა ამ თვალსაზრისით. ეს გარკვეულ თანხებთან იქნება დაკავშირებული, საჭირო გახდება გამწმენდი ნაგებობის სწორი მუშაობა და არა ისე, რომ მთელი ნაგავი მტკვრისკენ მიდიოდეს.

„სხვათა შორის, მტკვარ-არაქსის მონაკვეთზე საერთაშორისო ფონდებიდან გამოყოფილი უზარმაზარი თანხებია დახარჯული. 6-7 წლის წინათ ჩვენ ეს შეფასება გავაკეთეთ და თანხები სადღაც 15 მილიონზე ადიოდა. მას მერე კიდევ ბევრი თანხა დაიხარჯა, მაგრამ ამას დიდი შედეგი არ მოუტანია. ვფიქრობ, არა მარტო მტკვარი, მდინარე ვერეც და სხვა მდინარეებიც საუკეთესო სარეკრეაციო ადგილებია. გენგეგმის ჯგუფს დიდი გეგმები აქვს, მაგრამ მარტო თბილისზე კი არა, სხვა ქალაქებზეც უნდა ვიფიქროთ, სადაც არტახებში ზის მდინარეები. ქალაქები მდინარის პირას იმიტომ შენდებოდა, რომ ისტორიულად ამ მდინარეებს ჰქონდათ თავიანთი ფუნქცია და რეკრეაციული მიზანი. მით უმეტეს, თბილისი ცნობილი იყო საქეიფო ადგილებით, ორთაჭალის ბაღებით. მე-20 საუკუნის დასაწყისში მტკვრის წყალს სვამდნენ. ახლა კი მტკვარი არტახებშია მოქცეული, მასში დიდი ბეტონის მილები ჩადის“.

მანანა ნოზაძე

სანთელი

კოტე ბასილიშვილი, თემურ გოცაძე, ოთარ ზუმბურიძე, ბესიკ კილასონია, ილია ჭანუყვაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ შესანიშნავი მუსიკოსის, ჭეშმარიტი მეგობრის

კონსტანტინე ვარდელის

გარდაცვალების გამო.

მშენებლობაზე კიდევ ერთი მუშა დაიღუპა

თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე, სამშენებლო ობიექტის მესამე სართულიდან გადმოვარდნის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.

გავრცელებული ინფორმაციით, გარდაცვლილი მუშა იყო.

ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების ბრიგადა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

21 ივნისი, 2017 წ.

შპს „ჯი-ეს-ეფ ჯგუფის“ დირექტორის ზაზა ნოზაძის მიმართვა

ბ-ნ ირაკლი ბაღდავაძეს პ/ნ 62007014131 (მსესხებელი, ამასთანავე უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე, მცხოვრები: ქ. ხონი, სამხედრო დასახლება, კორპ. 101, ბინა №21, ფაქტიური: ქ. თბილისი, გლდანი, მე-3ა მკრ, კორპ. №22, ბინა №89.

მოგესალმებით ბ-ნო ირაკლი

გაცნობებთ, რომ შპს „ჯი-ეს-ეფ ჯგუფსა“ და ბ-ნ ირაკლი ბაღდავაძეს შორის 2016 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ნომერი: ს/ა-004 სესხის და გირავნობის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2017 წლის 10 მარტიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში.

თანახმად ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2017 წლის 21 ივნისის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული პირგასამტეხლოს (61,09 აშშ დოლარი), ვადაგადაცილების საპროცენტო დავალიანების (133,73 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული ძირითადი თანხა (248,98 აშშ დოლარი), ძირითადი თანხა (640,58 აშშ დოლარი) (სულ: 843,23 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

პატივისცემით,
შპს „ჯი-ეს-ეფ ჯგუფის“
დირექტორი ზ. ნოზაძე

ტელ: 21 37 89 88; მობ: 592 196196

GEO HOLDING

გადავიხდით თქვენს კრედიტს საქართველოს ნებისმიერ ბანკში.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ ან დაგვიკავშირდით:

ქ. თბილისი, გლდანი, ვეკუას ქ. №12 (მეტრო „ახმეტელის“ მიმდებარე ტერიტორია) ტელ: 557 575 323; 557 575 811

geo-holding.net

სამუშაო საათები:

ორშაბათ-პარასკევი: 10:00-დან 20.00 სთ-მდე

შაბათი-კვირა: 11:00-დან 18:00 სთ-მდე.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

ვულოცავთ!

კვიპროსში მოღვაწე მშვენიერ მანდილოსანს — ინჟინერ-ქიმიკოსს, ერთგულ მეუღლეს, კარგი შვილების — ნინოს და ვაჟას აღმზრდელს, ყურადღებიან, მზრუნველ შვილს, თბილ და სამაგალითო რძალს ირინე ბეგიაშვილ-ებანოიძეს ვულოცავთ დაბადების 50 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მზეგრძელობას, ულევ სიხარულს, სიკეთეს, სიმშვიდეს, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მამა ნიკოლოზი,
დედამთილი ნუნუ ძამუკაშვილი,
მამამთილი ვაჟა ებანოიძე

კლიპი მე2ქვსმილიონე ტურისტზე „ლომის“ მფლობელი გახდა!

მე-6.000.000 ტურისტის შესახებ გადაღებული ვიდეორგოლი კანის ლომების ფესტივალზე ვერცხლის და ბრინჯაოს ლომის მფლობელი გახდა.

კლიპის გადაღება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით განხორციელდა, რომელიც საქართველოში მე-6.000.000 ტურისტის შემოსვლას ეძღვნება.

საქართველოში 2016 წელს რეკორდული რაოდენობის ტურისტი ჩამოვიდა. ეს არის პირველი წელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქვეყანაში 6 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად მოხდა კლიპის გადაღება.

ქართული სააგენტოების წარმატებას კანის კრეატიულ ფესტივალზე კიდევ ორი ლომი დაემატა. Windfor's-ის ნამუშევარმა Dinner With Georgia ფესტივალზე, PR-ის კატეგორიაში, ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვა! ესაა პირველი ვერცხლის ლომი ქართულ სარეკლამო ინდუსტრიაში!

მშვენდება ფარავნის ქუჩა

ჩულურეთის **რაიონის გამგეობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. ფარავნის ქუჩის მცხოვრებლები ახალი კეთილმოწყობილი გზით ივლისიდან ისარგებლებენ. 450 კვ. მეტრის ფართზე მოხდა ამორტიზებული რიყის ქვის დემონტაჟი, მოეწყო გამაგრების ზოლის ყალიბები, რის შემდეგაც დაიწყო ქვაფენილის დაგება. სამუშაოებს ჩულურეთის რაიონის გამგეობის დაკვეთით, შპს „გლობალ ჰაუსი“ აწარმოებს.**



შპს „სკინჩმა“ კი ასფალტის საფარის დაგება ერისთავის და ნათიშვილის ქუჩებზე დაასრულა. ორივე ქუჩის საერთო ფართობი 1650 კვ. მეტრია.

ჩულურეთის რაიონში, 2017 წლის დასაწყისიდან დღემდე ასფალტის საფარი და ქვაფენილი 18 ქუჩაზე დაიგო .

გამნაღმველი ვირთაგვები

აუარებელ **შეიარაღებული კონფლიქტით გადაღლილ აფრიკაში, სადაც გარე თუ შიდა ომები ათწლეულობით გრძელდება, ადამიანის ისტორიული „ანტიპათიის“ — ვირთაგვების გამოყენება მოსახლეობას დიდი სამხედრო ხიფათისგან გადასარჩენად ასწავლეს.**

პროგრამა Hezo RAT-ის ფარგლებში ვირთაგვებს ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ჭურვების მიგნება ასწავლეს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ განაღმვა მღრღნელებს საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებათ — იპოვის, თათს დაადგამს და...

სად უმჯობესია დასვენება?

მეცნიერებმა **დაადგინეს, რომ ნევროპათებმა, უმჯობესია... ქალაქში დაისვენონ.**

მათ დაკვირვება განგაშის სხვადასხვა დონის მქონე პირთა ტესტირების გზით ჩაატარეს. აღმოჩნდა, რომ ბუნების წიაღში დასვენება მხოლოდ მშვიდ ადამიანებს უხდებათ.

მათ კი, ვისაც ნევროტიზაციის მაღალი დონე აღენიშნებათ, უფრო დიდი ქალაქების ხედები ამშვიდებს. ყოველივე ეს, შესაძლოა, იმ გარემოებასთანაა დაკავშირებული, რომ ასეთი ხალხი ქალაქში თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობს.

ანტიმიკრობული მასალა

მეცნიერებმა **ახალი ანტიმიკრობული მასალა შექმნეს, რომელიც სახიფათო ბაქტერიებს... 30 წამში კლავს.**



ეს მასალა არა მარტო ახშობს მიკრობების აქტივობას, არამედ ბაქტერიების ზრდასაც უშლის ხელს, რომლებიც ანტიბიოტიკების მიმართ მდგრადნი არიან.

მას წყალში ხსნადი ფხვნილის სახით გამოუშვებენ, რომლის გამოყენებას ზედაპირების სასტერილიზაციოდ აპირებენ.

მაისის სითბო, ნოემბრის ავდარი...

ყველაზე **ჯანმრთელი ადამიანები თურმე, მაისში იბადებიან.**

ეს დასკვნა მეცნიერებმა 1,7 მილიონი კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევის შემდეგ გამოიტანეს.

სხვებზე ხშირად ავადმყოფობენ ოქტომბერში დაბადებულნი (მათ შორის, ბევრს ასთმა აწუხებს). ნოემბერში დაბადებული ბავშვები ჰიპერაქტიურები არიან და ხშირად მშობლების ყურადღება აკლიათ, მარტის „შვილებს“ კი გულის პრობლემები აქვთ.

ყურადღება: პირველი პაემნის ფერები

ძალ-ვაჟის **სამომავლო ურთიერთობაზე ხშირად დიდ ზეგავლენას ახდენს პირველი პაემანი. ამდენად, აზრი აქვს ყურადღებით გავეცნოთ ფსიქოლოგთა ზოგიერთ რჩევას.**

თურმე, პირველ პაემანზე არ შეიძლება **ყვითელი, ყავისფერი** და **ნარინჯისფერი** ტანსაცმლის ჩაცმა. ყვითელი კლავს რომანტიკულ განწყობას: ადამიანთა უმრავლესობისთვის ის ღალატთან და ეგოიზმთან ასოცირდება. ნარინჯისფერი იაფფასიანად და უსუფთაოდ აღიქმება, ხოლო ყავისფერი მოწყენილობასთან იგივდება. რომანტიკულ განწყობას კი აძლიერებს **ვარდისფერი, წითელი** და **ხორცისფერი** საამოსელი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4094; ევრო - 2.7000;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0828;
100 რუბლი - 4.1401; თურქული ლირა - 0.6871;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4288;
1000 სომხური დრამი - 5.0019.

ამინდი 21 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +14 დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +26
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +13, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +10 დღე +24
თბილისი: ღამე +17, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge